კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 101 (19543) ◆ ხუთშაბათი, 1 მაისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

გაუმარჯოს 1 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

კალმით, მახვილით, სიტყვით და საქმით!..

ეს მიწა, მართლაც რომ
ყველას იტევს —
კეთილს და სათნოს, შლეგს
თუ ცოფიანს.
ჩვენ რომ გვეგონა, მავანთ
ვიცნობდით,
ვაგლას, თურმე რა ცუდად
გვცნობიან.

თუმც ურმის ნაცვლად გვაქვს
თვითმფრინავი,
ჭრაქის მაგიერ — შუქი ნეონის,
მაინც საკმაოდ დადის
ჩვენ შორის
მედროვეცა და ქამელეონიც.

ბევრს ემცირება ბედის არჩევი —
სვედრი, რომელიც ღვთისგან
ეღირსა,
მათი ნამუსზე მოქცევა ნიშნავს
მგლის თავზე კითხვას
სახარებისას.

ჩვენც შევეჩვიეთ ავთა და
სარბთა,
ადამიანი რას არ ეჩვევა?!
მაგრამ ბოლომდე ვის შერჩენია
და ცუდკაცობა არც მათ
შერჩებათ!

ჭირს, რა თქმა უნდა,
„გასვრა ხელების“,
განმსჯელის როლის თავზე აღება
და საკუთარი პატიოსნება
გვიჭირავს ოდენ ბაირაღებად.

რომ ვთქვათ: „ვინ იცის“...
რომ ვთქვათ: „ვითუ...“
ლაგდება ეჭვი სულში
კითხვებად,
თუმც ბოროტების შანთით
დადაღვა
კაცისთვის ცოდვად როდი
ითვლება.

ხომ უნდა ვინმემ კაფოს
ლენცოფა
და იტრიალოს ჯარად
მამულში!...
სანამდე დარჩა ერთი
ქართველიც
ვინაც გაყიდა სინდის-ნამუსი.

თუ კაიუმებზე უფრო ხმამაღლა
ალაპარაკდნენ როსმე ცუდანი,
ხომ უნდა ვინმე ჩაჰყვეს
ღდინამდე —
ზეპოს მაცილი და ქვებუდანი?!

ეს საუკუნეც სწრაფად ილევა,
გვიახლოვდება ოცდამეერთე,
და სანამ დროა, ყველა ჩვენგანი
ერთ დიად ძალად უნდა
შევერთდეთ!

ჩვენმა მამებმა და წინაპრებმაც
სიკეთე დროშად ხომ
გაიძღოლეს?..
ვაშა, ერისთვის ვინაც იბრძოლა,
ვინც დღეს იბრძვის და
კვლავაც იბრძოლებს!

ვიდრე უფრო ღრმად
გაიდგამს ფესვებს,
ვიდრე უფრორე გაიტოტება —
კალმით, მახვილით,
სიტყვით და საქმით
ვურტყათ სიმრუდეს და
ბოროტებას,
რომ საქართველო
უფრო გაბრწყინდეს,
უფრო ამაღლდეს და იძლიეროს,
წინაპართ ხსოვნის პატივსაცემად
და შვილთა ჩვენთა
საბედნიეროდ!

ენვერ ნიჟარაძე.

სტუმრად საქართველოში

30 აპრილს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. ე. ჩერქეზიამ მიიღო კვიპროსის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გეორგიოს იაკოვუ, რომელიც გუშინ მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა. სტუმარი ჩვენს ქვეყანაში იმყოფება ოფიციალურ ვიზიტად სსრ კავშირის მთავრობის მოწვევით.

(დასასრული 3ე-ს გვ.)

დღეს პირველი მაისია — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ხალხთა ბრძოლის ნათელი დღესასწაული. ჩვენი ქვეყნის მშრომელები, მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები მოდგამ გამორჩეული ზეიმით აღნიშნავდნენ მას, მაგრამ წლევანდელი პირველმაისობა მაინც განსაკუთრებული და განსხვავებულია.

განსაკუთრებულია იგი თუნდაც იმიტომ, რომ ზუსტად ასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩიკაგოელმა მუშებმა გამოაცხადეს კაცობრიობის ისტორიაში პირველი ორგანიზებული საყოველთაო გაფიცვა. იმ დღეს, 1886 წლის 1 მაისს, არ გაფიცულა ქალაქის არც ერთი საწარმოს ჭიშკარი. ქუჩები გაავსო გაფიცულთა მრავალთასიანმა კოლონებმა, რომლებსაც მოპქონდათ პლაკატები წარწერით: „ჩვენ მოვითხოვთ რვასაათიან სამუშაო დღეს“. პოლიციამ დაუნდობლად დაარბია მშვიდობიანი დემონსტრაცია.

მაგრამ წლევანდელი პირველმაისობა საბჭოთა ადამიანებისათვის, და არა მარტო მათთვის, უწინარეს ყოვლისა იმით არის გამორჩეული, რომ იგი იმართება სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ, ყრილობისა, რომელმაც საფუძვლიანად, კრიტიკულად და თვითკრიტიკულად გააანალიზა განვლილ ხუთწლედში გაწეული გარჯის ავ-კარგი, დასახა შემდგომი ნინსვლის შეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები.

ეს საიუბილეო დღესასწაული ყველა ადრინდელისაგან იმითაც არის განსხვავებული, რომ ენუოობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მშვიდობის წლად გამოცხადებულ 1986 წელს.

ქვეყნად მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის დამკვიდრება კი მუდამ იყო, არის და იქნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მრავალმხრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი. ამის მაგალითია თუნდაც ის, რომ პირველი დეკრეტი, რომელიც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკამ ვ. ი. ლენინის ხელმოწერით მიიღო, მშვიდობის დეკრეტი გახლდათ.

1 მაისი — გაზაფხულის ეს ნათელი დღესასწაული, რომელიც მსოფლიოს კომუნისტური მოძრაობის მონაწილეთა საბრძოლო ერთიანობის ერთგვარი სიმბოლური დემონსტრაციაც არის,

მშვიდობის, შრომის, მეგობრობის ზეიმი

ამავე დროს თვალნათლივ წარმოაჩენს სოციალიზმის უდიდეს შესაძლებლობებსა და უპირატესობებს. „სოციალიზმი, — აღნიშნა სკკპ XXVII ყრილობაზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა, — მძლავრ მორალურ და მატერიალურ ძალად გადაიქცა და გვიჩვენა, რა შესაძლებლობანი ისახება თანამედროვე ცივილიზაციის წინაშე“.

„მშვიდობა, შრომა, მაისი“... ამ და სხვა ლოზუნგებით, ტრანსპარანტებით ჩაიელიან დღეს ჩვენი რესპუბლიკის, ისევე როგორც მთელი ქვეყნის, მოზეიმე მოედნებზე და ქუჩებში მშრომელთა მრავალთასიანი კოლონები. ისინი სამშობლოს, პარტიას უპატაკებენ სკკპ XXVII ყრილობის სახელმძღვანელო გადაწყვეტილებათა უთუო ხორცშესხმისათვის შემდინარე საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში მოპოვებულ წარმატებებს.

წარმატებები კი სახალხო მეურნეობის, კულტურის, ხელოვნების ყველა დარგში საკმაოდ გვაქვს. განვლილ ოთხ თვეში კარგად იმუშავეს რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, გარკვეული შეფერხებების მიუხედავად წარმატებებია მშენებლობაში, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაში და სხვა.

კარგად ირჯებიან სოფლის მეურნეობის მშრომელებიც, რესპუბლიკის რაიონების მნიშვნელოვანმა უმრავლესობამ გადაჭარბებით შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების ოთხი თვის საგეგმო დავალებები, წარმატებით, აგროვადებისა და ნესტების დაცვით მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები. გაგვახარეს ჩვენი კულტურისა და ხელოვნების მუშაკებმა. კინოფილმ „ცისფერი მთებისათვის“... სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის მინიჭებით გამოწვეული სიხარული გაგვიორკეცა რუსთაველის სახელობის თეატრის შესანიშნავი კოლექტივის ტრიუმფულმა გასტროლებმა ავსტრალიაში. სულ ახლახან კი ნებისმიერი საბჭოთა ხელოვნისათვის სანუკვარი უმაღლესი ჯილდოთი — ლენინური პრემიით აღინიშნა ქართველ კინემატოგრაფისტთა მიერ შექმნილი კინოფილმი „მშობლიურო ნემო მიწავ“.

„დღეს პირველი მაისია და პირველი სიხარულია...“ ზეიმითა და სიხარულით შემოაბიჯა ჩვენს მზიურ საქართველოში, მთელ საბჭოეთში გაზაფხულის ამ შესანიშნავმა დღესასწაულმა. კეთილი იყოს მისი მობრძანება!

გაუმარჯოს პირველ მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

სკკპ XXVII ყრილობის ლენინური კურსით — წინ, კომუნისტური აღმშენებლობისა და მშვიდობის გზით!

რესპუბლიკა საღღესასწაულო მარშის წინ

საღღესასწაულოდ მორთულა საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი — თბილისი. ყველგან მოჩანს ალისფერი საპირველმაისო დროშები. სახლების ფასადებს ამშვენებს წითელი პლაკატები და ტრანსპარანტები. მთავრდება უკანასკნელი სამზადისი პირველი მაისის დღესასწაულისათვის. რესპუბლიკის მოედანზე — თბილისელთა საზეიმო ცენტრში, რუსთაველის სახელობის პროსპექტზე, ლენინის სახელობის მოედანზე გამოკრულია ლამაზად გაფორმებული პანრები, დიაგრამები, რომლებიც ასახავენ თბილისელთა შრომითს წარმატებებს.

რესპუბლიკა, ისევე როგორც მთელი ქვეყანა, წლევანდელ პირველ. მაისს ეგებება შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებთ. დინამიკურად ვითარდება სოციალისტური ეკონომიკა, მეცნიერება და კულტურა, უძრეობესდება ხალხის კეთილდღეობა.

ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში მოპოვებულ პირველ წარმატებებს, იმას, თუ როგორ ჩაიარა სამაისო შრომითმა ვახტმა, წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულების მტკიცე გადაწყვეტილებას საპირველმაისო დემონსტრაციაზე უპატაკებს სამშობლოს საჭარმოო გაერთიანებების, ფაბრიკა-ქარხნების, ახალმშენებლობების, სამეცნიერო, კულტურული, სხვა დაწესებულებების ათასობით წარმომადგენელი,

წარმოების მოწინავეებს — სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს — ეკნებიან ტრადიციული განმასხვავებელი ნიშანი — მზარზე გადადებული წითელი ლენტი. მათ, ისევე როგორც პარტიის, შრომის ვეტერანებს, პირველ მაისობათა მონაწილეებს გაუწიეს დიდი ნდობა გახსნან დემონსტრაცია.

თბილისი. ჩვენ ვიმყოფებით რესპუბლიკის უძველეს საწარმოში — სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში. იგი 100 წელზე მეტი ხნისაა. მიმდინარე საუკუნის დამდეგს თბილისში პირველნი მუშები გამოვიდნენ მაისობაზე, მონაწილეობდნენ დემონსტრაციებში, დღეს საწარმო ამაყობს პარტიისა და შრომის ვეტერანებით. ესენი არიან შ. ჯლანტიაშვილი, კ. ილურიძე, ვ. ბეჟუაშვილი, გ. გიჩიჩოლაძე, ა. როსტიაშვილი, სხვები, რომელთაგან თითოეულმა მშობლიურ ქარხანას შეალია 40-50 წელი და მეტი. პირველი მაისის დღეს ისინი ქარხნის კოლექტივის სახელით უპატაკებენ სამშობლოს, რომ ოთხი თვის დავალება და სამაისო ვალდებულებანი ვადამდე შეასრულეს, შეაკეთეს 16 ელექტროსეტანი და 58 რკინიგზის ვაგონი.

ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხანა. ურალისა და ციმბირის ფოლადის მაგისტრალების უძნელეს უბნებზე წარმატებით გაიარა გამოცდა აქ დამზადებულმა ზემძლავრმა თორმეტღერძიანმა „ვლ-15“ ელმავალმა, ელმავალმშენებლები შეუდგნენ ახალი ლოკომოტივის კიდევ ერთი ნიმუშის ათვისებას. ქარხნის კოლონას დემონსტრაციაზე სათავეში უდგანან პირველი მაისის ღირსეული შეხვედრისათვის გაწლილი შეჯიბრების გამარჯვებული ბრიგადები, რომლებსაც წინ მიუძღვიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. მეტონიძე, კ. ორაგველიძე, კ. კანდიაშვილი. შეასრულეს რა დღესასწაულისათვის ხუთი თვის გეგმა, მათ პირობა დადეს, რომ ორი წლის დავალებას გაანაღდებენ მომავალი წლის 7 ნოემბრისათვის.

მოწინავეთა შორის არის თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანებაც. კარგი გუნება-განწყობილებით გამოვა საპირველმაისო დემონსტრაციაზე მშტამპავთა ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატი ს. ორლოვა. იგი ცნობილია როგორც ბევრი შრომითი წამოწყების ინიციატორი. ბრიგადა რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ლენინგრადელ მუშათა მიმართვას — „ხუთწლედის ორი წლის დავალება შეეასრულოთ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის“. იგი ამჯერადაც საკუთარი თავის ერთგული დარჩა: ვადამდე შეასრულა სამაისოდ ნაკისრი ვალდებულებანი.

მასთან ერთად დღესასწაულის წინ დავდგებათა წარმატებით რეალიზაცია უპატაჟა პარტიასა და მთავრობას გაერთიანების კიდევ 120 შრომითმა კოლექტივმა. საუკეთესო ოთა შორის არიან ს. სიგეას ხარატთა, ფ. დილანიანცის ამწყობ ზეინკალთა და სხვა ბრიგადები.

თბილისის საშენ მასალათა კომბინატის კოლექტივიც პატაკს აბარებს პირველ მაისს. შრომითმა სადღესასწაულო განწყობილებამ, რომლითაც იგი მაი-

(დასასრული 3ე-ბ გვ.)

საუბარი კვიპროსის საგარეო საქმეთა მინისტრთან კრემლში

— **ჯერ** ერთი, ყოველთვის დიდმნიშვნელოვნად მიგვაჩნდა და ახლაც მიგვაჩნია კვიპროსის საკითხი, მეორე, მუდამ თანავუგრძნობდით კვიპროსელ ხალხს და კვიპროსის ერთიან სახელმწიფოს, — ასე დაიწყო 29 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ საუბარი კრემლში კვიპროსის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან გეორგიოს იაკოვუსთან. კვიპროსელი სტუმარი და მისი თანმხლები პირნი ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებიან საბჭოთა კავშირში.

საუბრის დროს ორივე მხარემ გამოთქვა კმაყოფილება, რომ ორმხრივი ურთიერთობის ისტორიაში პირველად კვიპროსის საგარეო საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი საბჭოთა კავშირში წარმატებით მიმდინარეობს და ასახავს ორი სახელმწიფოს კავშირურთიერთობის შეგობრულ ხასიათს.

ა. ა. გრომიკომ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი კვლავ მხარს დაუჭერს კვიპროსის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, ერთიანობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

ყურადღება მიეპყრო იმას, რომ ხმელთაშუა ზღვის, ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის მთელი რაიონი — ეს ისეთი ადგილია, სადაც დაძაბულობა კი არ ნელდება, პირიქით, მატულობს. არის კი იმის გარანტია, რომ ლიბიაზე ვაშინგტონის თავდასხმა აღარ განმეორდება? ასეთი გარანტია არ არის. ეს კი ნიშნავს, რომ აგრესიის ძალები კაცობრიობას უფსკრულისაკენ უბიძგებენ.

გ. იაკოვუმ მადლობა გადაიხადა ხელშეწყობისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს კვიპროსის პრობლემის გადაჭრას.

გამოთქვა ორმხრივი კმაყოფილება საბჭოთა კავშირ-კვიპროსის ტრადიციული მეგობრული ურთიერთობის ახლანდელი დონის გამო. გრძელდება სხვადასხვა დარგში ორი ქვეყნის თანამშრომლობის შეუნელებელი განვითარება. ხაზგასმით აღინიშნა მზადყოფნა კიდევ უფრო განავითარონ სსრ კავშირისა და კვიპროსის რესპუბლიკის კავშირურთიერთობა. (საკმესი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

მიზანი ერთია — უძლიერესთა შორის ადგილის დაკავება

მიმდინარე წლის სპორტულ კალენდარში განსაკუთრებული ადგილი უკავია სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის IX სპარტაკიადის ფინალურ ტურნირებს. იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მზადება ამ პასუხსაგები ასპარეზობისათვის, როგორია საკავშირო სპორტულ ფორუმზე მათი გამოსვლის პერსპექტივები, კონკრეტულად, საქმიანად იმსჯელეს საქართველოს სპორტული დელეგაციის მზადებისადმი ხელმძღვანელობის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სპორტული ორგანიზაციებ ი ს, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, ნაკრები გუნდების მწვრთნელები, სხვადასხვა სახეობის სპორტის ფედერაციათა თავმჯდომარეები, სპორტის სპეციალისტები.

საორგანიზაციო კომიტეტ ი ს სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ზრუნვისა და ყურადღების ატმოსფერო, რომლითაც რესპუბლიკის ნაკრები გუნდები არიან გარემოსილი, სპარტაკიადის მომავალი სტარტებისათვის მზადების პერიოდში სპორტსმენებისა და მწვრთნელებისათვის შექმნილი პირობები იმის იმედს იძლევიან, რომ საქართველოს გუნდი გაცილებით უკეთ გამოვა, ვიდრე წინა სპარტაკიადაზე.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე დაისახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, რათა ისინი სრულფასოვნად მოემზადონ სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის IX სპარტაკიადის ფინალებისათვის.

საორგანიზაციო კომიტეტის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. ე. ჩერქეზიამ. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის თენგიზ სამსონაძის პლაკატი

რესპუბლიკა საღამესასწაულო მარშის წინ

(დასასრული)

სის წინა დღეებში შრომობდა, კონკრეტული საქმეებით შეისხა ხორცი. მომხმარებლებს გეგმის გადამეტებით გაეგზავნათ ათასობით კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილები, ათიათასობით მანეთის კერამიკისა და ქაშანურის ნაწარმი.

როგორც ყოველთვის, მაღალი მაჩვენებლებით ეგებება გაზაფხულის, მშვიდობისა და მეგობრობის დღესასწაულს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მარმარილო-მოზაიკის ფილების საამქროს მხეზავი ე. შუბითიძე. მან კომბინატში ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა ოთხი თვის გეგმა, ამასთან მთელი მისი პროდუქცია მხოლოდ საუკეთესო ხარისხისაა. წარმოების ვეტერანს არ ჩამორჩება არც კერამიკული საამქროს მსხმელი ე. მამფორია.

თბილისის საშენ მასალათა კომბინატი ატარებს კომუნისტური შრომის, სანიმუშო დისციპლინის საწარმოს წოდებას. ყოველ პირველ მაისს მისი კოლექტივი ტრადიციისამებრ ანგარიშს აბარებს თავის თავს — ყველაფერი გააკეთა თუ არა იმისათვის, რომ არ შელახოს საწარმოს ღირსება, სახელი მოუხვეჭოს მას ახალი წარმატებებით. და ახლა კომბინატის მუშაკები მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწაულს სახელოვანი შრომითი წარმატებებით ეგებებიან.

თბილისის ქუჩებში, პროსპექტებსა და მოედნებზე სადღესასწაულო მარშით ჩაივლიან საავიაციო ქარხნის, საწარმოო გაერთიანებების „ელექტროაპარატის“, „ანალიზელსაწყოს“, ბერი ესა საწარმოს მოწინავე კოლექტივები. მიღწეული წარმატებების შესახებ შრომითს პატაკებს შეუნაცვლებენ ცნობებს ახალ დიდ ვალდებულებათა შესახებ.

სოხუმი. მეორე ცვლაში, ისე როგორც იყო გათვალისწინებული ვალდებულებებით, სოხუმის გაზის აპარატურის ექსპერიმენტული ქარხნის საწარმოო ბრიგადებმა პირველი მაისის წინ იმუშავეს წლის დამდეგიდან დაზოგილი მასალებითა და ელექტროენერგიით. დაზოგილი ლითონით დამზადებული გასათბობი ღუმლები და გაზის ბალონები ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობს გამოცდილი ოსტატი, პ. გაბელია, სპეციალური განწესით გაუგზავნა ბამის მშენებლებს. ეს მეგობრული, ერთსულოვანი კოლექტივი აძლევს ტონს საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებას. უზრუნველყოფენ რა მუშაობის მაღალ ხარისხს, ახალგაზრდა წარმოების მუშაკებმა საწარმოში ერთ-ერთმა პირველმა შეასრულეს თავიანთი კვარტალური და ოთხი თვის დავალებანი. ამას უპატაკებენ ისინი მთავრობას სოხუმში გამართულ საპირველმაისო დემონსტრაციაზე.

ისეთი ეკონომიკური ტერმინებით, როგორიც არის მაღალი რენტაბელობა, წმინდა მოგება, განამტკიცებენ ამჟამად აფხაზეთის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები სოციალისტური ვალდებულებების ყველა პუნქტს. მაქსიმალურად აამოქმედებენ ახალ რეზერვებს, რათა 1986 წლის 7 ნომბრისათვის შესრულონ ხუთწლედის ორი წლის გეგმა **ჟუთაისი.** მნიშვნელოვანი ქუთაისელთა საპრეზიდიუმოი შრომითი პატაკები. ორკონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა ვადამდე, 28 აპრილისათვის შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის ოთხი თვის გეგმა. დღესასწაულამდე დარჩენილ დღეებში მანდალდებულება იკისრა მომხმარებელს გაუგზავნოს 2 მილიონი მანეთის ზეგეგმითი ნაწარმი.

რეზინ-ტექნიკური ნაწარმის ქარხნის კოლექტივმა სსრ კავშირის ნაკთობქიმიური და ნავთობგადასამუშავებელი მრეწველობის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა. დავალების დამატებით გამოშვებული და რეალიზებულია 300 ათასი მანეთის პროდუქცია.

ქალაქის ეს ორი საუკეთესო საწარმო გახსნის დემოსტრაციას ქუთაისში.

რუსთავი. სიმბოლური ჭიშკარი ფართოდ გააღო ახალგაზრდა და ამავე დროს ხანდაზმულმა ქალაქმა რუსთავმა. საპირველმაისო დღეებში აქ დამთავრდა ქალაქის საპარადო და ამასთან საქმიანი შესასვლელის მშენებლობა. ფართო ავტომაგისტრალი კვეთს ხალხთა მეგობრობისა და ლენინის სახელობის პროსპექტებს, მიემართება მეტალურგიული ქარხნისაკენ, სხვა მისამართებით.

განახლებული, გაზრდილი საწარმო, რომელიც სიცოცხლე შთაბერა ძველი სოფლის ნანგრევებზე აგებულ ქალაქს, ეგებება პირველ მაისს. მეფოლადეებმა ამ დღეებში ლითონის გამოშვება დაიწყეს კაპიტალურად გარემონტებულ №2 მარტენის ღუმლიდან.

ქალაქში სიახლეები შეინიშნება. გამშვენიერდა ეუჩები და საცხოვრებელი უბნები, მოირთო სკვერები და მოედნები. ბევრ ეზოს შეემატა სპორტული მოედნები. ყოველივე ეს კეთილმოწყობის კომპლექსური პროგრამის განხორციელების შედეგია. კარგი განწყობილებით ეგებებიან რუსთაველები პირველ მაისს.

(საქინფორმი).

ᲘᲑ-ᲘᲑ იყო მეურნეობის დირექტორი მანქანაში ჯდებოდა, რომ ჩვენი მანქანიდან შეეძახე:

— ბეჟან! წუთიც, და ამოდენა გზაზე დახარჯული დრო უქმად ჩაგვეკარგებოდა.

— ბიდზე მომისწარით, — ჩაილაპარაკა ბეჟანმა და ჩვენკენ გამოქცართა.

— კოტა ხნით რომ მოვიცალეთ ხოლმე სოფელს, თვალწინ სულ ვენახები მიდგას. სანამ თვალს დავკრავ ვაზებს, ჩემი მეგობრებიც. ახლაც ასე იყო. ეს რამდენიმე დღეა სოფელში არ ვყოფილვარ. წუხელ ვვიან ჩამოვედი თბილისიდან... ამ დილითვე ვენახისაკენ გამიწია გულმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეშვიდე ყრილობაზე გულახდილად ითქვა, რომ ყველამ მაღალი შეგნებითა და პასუხისმგებლობით თავისი საქმე უნდა აკეთოსო, პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიულ მუშაობას უნდა მიხედოს, სამეურნეოს — მეურნეობის ხელმძღვანელებმაო. ახლახან პრესაში დაიბეჭდა დადგენილება აგრომრეწვის შესახებ. მეურნეობებს, როგორც ძირეულ რგოლებს, მეტი დამოუკიდებლობა და უფლებები უნდა მიეცეთო, — და აქ ქმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა სახეზე ახალგაზრდას.

— ზედმეტი მბრძანებლობა და მეურვეობა ზოგჯერ გვაბნევს, გვიფერხებს, ინიციატივას გვიკარგავს, ამაზეც ვარგად ითქვა ყრილობაზე და ახალ დადგენილებაშიც.

სულ რაღაც ხუთი-ექვსი წელია, რაც წითელწყაროს რაიონის ალაზნისპირა პატარა სოფლის — სამთაწყაროს აღორძინება დაიწყო. მეურნეობასაც იმ დღიდან ჩაეყარა საფუძველი.

ამ ხნის მანძილზე ათჯერ მეტი სახლი აშენდა, ათჯერ მეტი ოჯახი ჩასახლდა, ვიდრე მანამდე ამ სოფელში იყო. მარტო აჭარის მაღალმთიანი სოფლებიდან 180 ოჯახი ჩამოსახლდა სამთაწყაროში. საშუალო სკოლა, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, ორი სბავშვო ბაღი, მაღაზია, სასადილო ახალმოსახლეთა სამსახურშია. საფუძველი ჩაეყარა კულტურის სახლის მშენებლობას.

სიკეთეს სიკეთით უპასუხეს ახალმოსახლეებმა. აშენეს და ახარეს ბაღი და ვენახი. მათ ზვრებს ახლა 700 ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს. მათგან 500 ჰექტარი სრულ საყოფს იძლევა. მევენახეობის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდა კოლექტივს არც ერთ წელს გეგმების შესრულება არ გასჭირვებია. მარტო შარშან 4.400 ტონა ყურძენი მიჰყიდა სახელმწიფოს, საგეგმოზე 400 ტონით მეტი. მეურნეობის სალაროში სამ მილიონ მანეთამდე შემოსავალი შემოვიდა, წმინდა მოგება 877.000 მანეთია, ხოლო რენტაბელობის დონე 46 პროცენტია. რაც შეეხება თითოეული მუშის შრომის ნაყოფიერებას, აქაც პროგრესია. გასულ ხუთწლედში იგი ხუთჯერ გაიზარდა, თითოეულმა მუშამ 5.665 მანეთი გამოიმუშავა და შრომის საზღაურად 2.860 მანეთი მიიღო.

ბუნებრივად დაგებადება კითხვა:— მაინც რა არის ამ წარმატებების თავიდათავი, ხალისიანი შრომის მთავარი ბიძგი?

— ოჯახური იჯარა, — გვითხრა ბეჟანმა და განმარტა კიდეც, — დიდი დაინტერესებაა! ოჯახის ყველა წევრი, შეძლებისდაგვარად, მონაწილეობს სავენახე სამუშაოებში. თითოეულ ოჯახს 5-10 ჰექტარი აქვს მოსავლელად გამჯროვნებული. ანაზღაურებას არ იკითხავთ? ისმაილ დიმიტრაძის, დიმიტრი კილაძის, აპოლონ მამულაშვილის ოჯახებმა, თითოეულმა შარშან 15-20 ათას მანეთამდე მიიღეს.

შიდასამეურნეო ანგარიშზე, მანეთით კონტროლის დანერგვაზე იყო ყრილობაზე ლაპარაკი და უნდა ითქვას, რომ ჩვენ მის სიკეთეს უკვე ვიმკით. ბრიგადას, მის წევრებს სამეურნეო ხარჯებში გაწეული ეკონომიიდან წლის ბოლოს დამატებითი ანაზღაურება ეძლევათ, ხოლო, პირიქით, გადახარჯვები შესაბამისად ეჭრებათ ფასიდან ექვითებათ. ასეთი ანგარიში ყველას მოსწონს.

როგორც ვიცით, ყრილობაზე მის მონაწილეთა კმაყოფილება გამოიწვია გადაწყვეტილებამ იმის შესახებ, რომ მეურნეობებს ხუთწლედში და წლების მიხედვით მიეცეთ მყარი გეგმები (ახალ დადგენილებაშიც ხაზგასმით არის ჩაწერილი), ეს მეუზაობის სწორი ორიენტაციის საშუალებას მისცემს იმათ, ვინც საქმის გულდაგულ კეთებას არის მიჩვეული, თანაც დაინტერესებიან ზეგეგმითი პროდუქციის წარმოებით, რომელიც შეუძლიათ გადაამუშაონ ან მიჰყიდონ მოსახლეობას და ა. შ.

პროდუქცია ხალხისათვის, და არა საწყობისათვის. — ასეთია ყრილობის დევიზი. წინადადებაც წამოაყენეს — ხელფასი მუშებს მიეცეთ არა წარმოებული, არამედ რეალიზებული პროდუქციის მიხედვით. ეს, მართლაც, ხარისხისათვის ბრძოლის ერთ-ერთი საამქედო ბერკეტია.

ახალბედა მეურნეობის წარმატებისათვის ვამაყობ და მთავარი კი მაინც ისა არის, რომ მისი ვენახები ყოველწლიურად მუშავდება იდეალურად, აგროტექნიკის სრული დაცვით.

ჩვენს მეურნეობას რამდენიმე ეტაპი ელოდებოდა მიმართულება, გარკვეული ადგილი დადგებოდა ეტაპზე სუფრის ჯიშებს. [illegible] ეტაპზე, გავაშენეთ და კვლავაც გავაშენებთ;

ბეჟან გონაშვილმა, რომელსაც სულ ახლახან ოცდაათი წელი შეუსრულდა, ისიც გაგვანდო, რომ სამთაწყაროს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი ახალგაზრდული მეურნეობაა რესპუბლიკაში, მუშაკთა საშუალო ასაკი 26 წელია.

გაწეულმა მუშაობამ სახელი და დიდება მოუხვეჭა ახალგაზრდა კოლექტივს, მის ხელმძღვანელს. ბეჟან გონაშვილი ამას წინათ დაჯილდოდა „საპატიო ნიშნის“ ორდენით, იყო სკკპ XXVII ყრილობის დელეგატი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, პარტიის წინეულწყაროს რაიკომის ბიუროს წევრია.

ახალგაზრდა ხელმძღვანელს, ახალგაზრდულ კოლექტივს კვლავაც სიკეთისათვის უცემს გული.

ᲕᲚ. ᲛᲔᲯᲔᲓᲚᲘᲫᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ

ᲣᲐᲛᲠᲐᲕ დღესასწაულთა შორის, კაცობრიობა უხსოვარი დროიდან რომ აღნიშნავს, ერთ-ერთი პოპულარული და ფართო სახალხო ხასიათისაა მაისის დღესასწაული. ოდითგან მოუთმენლად ელოდნენ ხოლმე ამ თვის დადგომას — იგი ხომ ბუნების აღორძინებას, ზამთრის ძილისაგან გამოღვიძებას მოასწავებდა!

თვით სახელწოდება ძველ რომაელთა გაზაფხულის, აყვავების ქალღმერთ მაიასაგან წარმოიშვა და სლავ ტომებში იგი ამწვანებისა და ვარდყვავილობის ჟამად იყო მიჩნეული. ამერიკელი ინდიელები მას ფოთლების, ხოლო ფრანგები ყვავილთა თვეს უწოდებდნენ. ძველქართულად მაისს ვარდობის თვეს უხმობდნენ.

ამ დღესასწაულთან მრავალი წესი თუ ადათია დაკავშირებული. მაგალითად, ძველ საბერძნეთში ყველაფერს ვარდებითა და აყვავებული ტოტებით რთავდნენ და ასე ეგებებოდნენ მის მობრძანებას. სამაისო ზეიმი დიდად პოპულარული იყო ძველ გერმანულ ტომებში — ხეებს რთავდნენ და საცოლედ შეღებებული ვაჟები ზედ ევლებოდნენ საგანგებოდ აბრეალებულ ჭიაკოკონებს. მათი ცრურწმენით, მაისის კოცონს ავსულთაგან ადამიანის დაცვაც შეეძლო თითქოს, ზეიმზე არჩეულ გოგონებსა და ვაჟებს ნეფესა და დედოფალის უხმობდნენ. შეედეთში წარსული ზამთრის დაკრძალვის ცერემონიალიც კი იმართებოდა მაისის დამდეგს და თუ ამ თვის პირველი დღე დარიანი გამოდგებოდა, დიდი ზარ-ზეიმი იმართებოდა — სოფლის მოედნებზე რგავდნენ „სამაისო ხეებს“ და ვინც ყველაზე მაღალი კენწეროდან ფერად ნაჭერს ან გვირგვინს ჩამოიღებდა, „მაისის მეფის“ ტიტულს უბოძებდნენ.

სამაისოდ არყის ხეებს მორთავა და მათ ირგვლივ სახალხო გართობანი ძალზე პოპულარული იყო ბალტიისპირეთსა და რუსეთში, მთელ სლავ ტომებში. სამაისო ხეებს მორთავა ჩვეულებად ჰქონდათ ინგლისელებსაც. ლონდონის ქუჩებში ბუხრის მშენდელთა მთელი პროცესია მიემართებოდა — ირჩევდნენ და რთავდნენ მაისის ლედებსა და ლორდებს, ყმაწვილები კი წყლით წუწავდნენ მოჭალეთ, ვის ქუდსა თუ ტანსაცმელს ყლორტები ან ყვავილები არ ამშვენებდა.

ძველად საქართველოში მაისის ღამეს ვაჟები გაფთქილ ტოტებსა და ვარდ-ყვავილებს ეკვეტნენ გულისსწორის ფანჯრებთან და თუ ქალწული თანაუგრძნობდა, შინ შეიტანდა და ამ ყვავილებით მოირთვებოდა.

ასე იყო...

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და მაისს თავის პირვანდელი ლაზათი არათუ არ დაუკარგავს, ბუნებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი საამქედო ბერკეტი.

ახალბედა მეურნეობის წარმატებისათვის ვამაყობ და მთავარი კი მაინც ისა არის, რომ მისი ვენახები ყოველწლიურად მუშავდება იდეალურად, აგროტექნიკის სრული დაცვით.

ჩვენს მეურნეობას რამდენიმე ეტაპი ელოდებოდა მიმართულება, გარკვეული ადგილი დადგებოდა ეტაპზე სუფრის ჯიშებს. [illegible] ეტაპზე, გავაშენეთ და კვლავაც გავაშენებთ;

ბეჟან გონაშვილმა, რომელსაც სულ ახლახან ოცდაათი წელი შეუსრულდა, ისიც გაგვანდო, რომ სამთაწყაროს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი ახალგაზრდული მეურნეობაა რესპუბლიკაში, მუშაკთა საშუალო ასაკი 26 წელია.

გაწეულმა მუშაობამ სახელი და დიდება მოუხვეჭა ახალგაზრდა კოლექტივს, მის ხელმძღვანელს. ბეჟან გონაშვილი ამას წინათ დაჯილდოდა „საპატიო ნიშნის“ ორდენით, იყო სკკპ XXVII ყრილობის დელეგატი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, პარტიის წინეულწყაროს რაიკომის ბიუროს წევრია.

ახალგაზრდა ხელმძღვანელს, ახალგაზრდულ კოლექტივს კვლავაც სიკეთისათვის უცემს გული.

ᲕᲚ. ᲛᲔᲯᲔᲓᲚᲘᲫᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ



ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ქება-დიდებით იხსენიებენ ნიკოლოზ მუხადგვერდელის ოჯახს. ნიკოლოზს დ მის მეუღლეს ლეილას, ყოველწლიურად ყურძნის უხვი მოსავალი მოჰყავთ. მათი შვილები გელა და მერაბი მეურნეობის მოწინავე მექანიზატორები არიან, უმროსი ქალიშვილი მანანა ბუღალტრის მოადგილეა.

ჩვენ ვთხოვეთ ნიკოლოზ მუხადგვერდელს ეამბნა, როგორ იქმნება მისი საოჯახო ბიუჯეტი.

—კეთილდღეობის მთავარი წყარო, — თქვა მან, — უთუოდ ოჯახის წევრების ხელფასია. პირადად მე შარშან 1.500 მანეთზე მეტი გამოვიმუშავე, ჩემი მეუღლე იჯარულ ბრიგადაში მუშაობს და მისი ხელფასი უფრო მეტია, შარშან 1.650 მანეთი მიიღო. გელამ 1.817 მანეთი გამოიმუშავა, მერაბმა — 2.500 მანეთი. მანანას ანგარიშზეა 1.300 მანეთი.

განა მარტო ამით განისაზღვრება მუხადგვერდელების ოჯახის შემოსავალი? დავინტერესდით, რას შეადგენს საოჯახო ბიუჯეტის დანამატები — მისაცემლები და შეღავათები მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან.

— მატერიალური წახალისების ფონდიდან პირადად მე პრემიადანამატის სახით 1.994 მანეთი მივიღე, — გვიპასუხა ნიკოლოზმა, — ჩემმა მეუღლემ — 2.500 მანეთი, ვაჟებმა — 1.500 მანეთამდე.

ცნობა ბუღალტერიიდან: მოლიანად მუხადგვერდელების ოჯახის უფლადი შემოსავალი, ხელფასისა და პრემია-დანამატის სახით 15.651 მანეთია. ერთ სულზე ოჯახის საშუალო წლიური შემოსავალი 3.130 მანეთია. ამას ემატება აგრეთვე საკარმიდამოდან შემოსავალი, რომელიც 7 ათასი მანეთია.

არის კიდევ შემოსავლის სხვა წყაროები. ისევ ნიკოლოზს მოვუსმინოთ:

— ახლახან ჩემი მეუღლე ლენინგრადიდან დაბრუნდა, სადაც მეურნეობის ხარჯზე ტურისტული საგზურით იმოგზაურა. შარშან შეღავათიანი პროფკავშირული საგზურით შვებულება გავატარე შავიზღვისპირა სანატორიუმში. ბევრ ვაჟებმა შეღავათიანი ტურისტული საგზურებით დაათვალიერეს ჩვენი ქვეყნის ლენინური ადგილები. ყველა ოჯახი, ცხადია, საკუთარი სახსრებით ვერ მიიღებდა ამ სიკეთეს. მეურნეობამ კი გამოძებნა ამის შესაძლებლობა. ოჯახის ბიუჯეტის ეს საგრძნობი დანამატი ჩვენივე გარჯით არის მოპოვებული.

ზრუნვა ადამიანისათვის საბჭოური ცხოვრების წესის დამახასიათებელი ნიშანია. მან მკაფიო გამოხატულება პოვა მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსურ გეგმაში, რომლის შემუშავებაში მეურნეობის დირექციამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ფართოდ ჩააბეს ავტორიტეტიანი, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების ადამიანები, რომლებიც მუდამ წარმატებით ეძებენ წარმოების ზრდის რეზერვებს, იღვწიან თითოეული ოჯახის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის. და ესეც მეტად საგულისხმოა.

— როცა ჩვენი მეურნეობის განვითარების პროგრამას ვამუშავებდით — გვითხრა მეურნეობის დირექტორმა ვალერიან თვაურმა, — ხელფასის მატებასთან ერთად გავითვალისწინეთ მისაცემლებისა და შეღავათების ყოველწლიური ზრდა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან. გეგმით დასახული უკვე ვახორციელებთ.

მეურნეობის დირექტორთან და მთავარ ეკონომისტ გაიოზ მერაბიშვილთან ერთად გამოვიანგარიშეთ, თუ როგორ გაიზარდა ამ ბოლო წლებში ოჯახის რეალური ხელფასი, და აი, რა გამოიკვეთა: თითოეული მუშის საშუალო ხელფასი მეურნეობაში შეადგენს 145 მანეთს. გარდა ამისა, მატერიალური სტიმულირების ფონდიდან იგი კიდევ ღებულობს ერთ ამდენზე მეტ თანხას.

მეორე ცნობა ბუღალტერიიდან: 1985 წელს მეურნეობამ მუშა-მოსამსახურეებისათვის 350 ათასი მანეთზე მეტი გასცა პრემია-დანამატისა და ჯილდოების სახით, 10 ათას მანეთზე მეტი მოხმარდა კულტურულ-მასობრივ ღონისძიებებს. 100-ზე მეტმა მოწინავე მუშა-მოსამსახურემ და მათმა შვილებმა უფასოდ ან შეღავათით დაისვენეს სანატორიუმებში, პანსიონატებსა და პიონერთა ბანაკებში.

ხაზგასმით აღვნიშნავთ მოწინავეებს, იმიტომ რომ შრომის დისციპლინის დამრღვევებს, რა თქმა უნდა, ასეთ შეღავათებს არ აძლევენ.

მარშანდელი მაჩვენებლების მიხედვით იმ ოჯახების რიცხვი, რომელთა წლიური შემოსავალი ათი ათას მანეთზე მეტია, 15-მდეა. მათ შორის არიან გრიშა რაზმაძის, გრიგოლ თედიაშვილის, ლუბა ხეცეკვის ოჯახები. იჯარული ბრიგადის წევრებმა არჩილ ჭავჭავაძემ, ნინო ციხელაშვილმა, რუსუდან ველიშვილმა, ანა რუსტაველიმა და სხვებმა თითოეულმა 5.350 მანეთი მიიღეს ხელფასისა და პრემია-დანამატის სახით. მეურნეობის მუშები დარწმუნდნენ ბრიგადული იჯარით მუშაობის სიკეთეში. აჭარა ამ წესით მუშაობს მათი უმრავლესობა.

ოჯახის რეალური შემოსავლის არსებითი დანამატებია აგრეთვე მისაცემლები სოციალური დაზღვევის ხაზით, სხვადასხვა დახმარება, პენსიები, სტიპენდიები, უფასო სწავლა და სამედიცინო მომსახურება. მეურნეობაში მოხმარების ფონდების ხარჯზე ბიუჯეტის დანამატი საშუალოდ ერთ ოჯახზე 600 მანეთს აღემატება, რაც ორჯერ მეტია, ვიდრე ამ თხუთმეტი წლის წინათ იყო.

კონკრეტულად რას კისრულობენ სახელმწიფო და მეურნეობა?

მეურნეობის დირექტორის ვალერიან თვაურის საუბრიდან: ჩვენ ცალკეულ წლებში შესასახლებლად ვაბარებთ დაახლოებით 80 ბინას. ვინც ბინის მიღების რიგშია, მათი სია ერთი წლიდან მეორეში არ გადადის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წლის განმავლობაში წარმოშობილი განაწესი ბინებზე სავსებით კმაყოფილდება.

საუბარში ბუღალტერიის მუშაკები ჩაერევნენ. მეურნეობის დირექტორის ცნობას მათ თავის მხრივ კიდევ დაუმატეს: **ბინის ქირის გადასახადი ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე თვეში 13 კაპიკს შეადგენს. ანა რუსიტაშვილის ოჯახი მეურნეობის სამოთახიან ბინაში ცხოვრობს და თვეში 6 მანეთსა და 11 კაპიკს იხდის.** ასეთივე უმნიშვნელო თანხებს იხდიან სხვა ოჯახებიც.

მეურნეობა სოლიდურ თანხებს ხარჯავს მის ტერიტორიაზე განლაგებული სოფლების — ზემო წეროვანის, გოროვანის, ქვემო წეროვანის, ჩარდახის კეთილმოწყობისათვის. ამ სოფლებში გაყვანილია მოასფალტებული გზები, სასმელი წყალი, მუშები სამუშაოზე მეურნეობის ავტობუსებით დადიან. მცხოვრებთა სამსახურშია სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, სკოლები, კულტურის კერები. ორ სბავშვო ბაგა-ბაღში ასზე მეტი ნორჩი იზრდება.

მრავალმა გლეხკაცის შვილმა დაამთავრა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებელი. საამისო ხარჯები სახელმწიფომ გაიღო. ზოგს მეურნეობა თავისი სტიპენდიით გზავნის სასწავლებლად. მათი სტიპენდია 15 პროცენტით აღემატება სახელმწიფოსას. ქალიშვილებისა და ჭაბუკების ერთი ჯგუფი დაუსწრებლად იღებს განათლებას, ისინი, აგრეთვე ის მუშები, რომლებიც საღამოს სკოლებში მეცადინეობენ, სარგებლობენ კანონით დაწესებული ყველა შეღავათით: შემცირებული სამუშაო კვირით, ფასიანი შვებულებით და ა. შ.

ზაფხულობით მეურნეობასთან იხსნება მოსწავლეთა შრომითი ბანაკი. უფროსკლასელებს ყველაფერი მზამზარეული აქვთ. დასვენებას უხამებენ ზომიერ შრომას, უფროსებს ეხმარებიან ვენახების, ხეხილის მოვლაში, პირუტყვის საკვების დამზადებაში და ა. შ.

საკუთრივ, ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ბავშვთა საკითხთან — დასვენებასთან, სწავლასთან, მკურნალობასთან, აღზრდასთან, ასე თუ ისე ნაზღაურდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან. ეს კი იმდენად ჩვეულებრივი გახდა, რომ ზოგიერთი მშობელი არც კი უფიქრდება, რა ჯდება მისი შვილის სწავლა წლის განმავლობაში, ან ბავშვის შენახვა სოფლის სბავშვო ბაღში. სხვათა შორის, ამას არცთუ ისე ცოტა თანხა ხმარდება.

ახლა იშვიათად გაიგონებთ მეურნეობაში: წავალ ქალაქში, იქ სპეციალობას შევიძენო. ხალხი სულ უფრო მეტად რწმუნდება, რომ საქმის სპეციალობის დაუფლება მეურნეობაშიც წარმატებით შეიძლება. მაგალითად, შეიძლება გახდე მაღალი კლასის მექანიზატორი, ოპერატორი, მანქანური წველის ოსტატი. „ორცვლიანობა“, რომლის დანერგვასაც მალე აპირებენ, ხელს შეუწყობს დაუსწრებლად სწავლის განგრძობას. აქაური ახალი თაობა სულ სხვა პირობებში იზრდება და დაისვენებს.

Დ. ᲑᲘᲬᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
მცხეთის რაიონი.

ᲐᲥ ᲐᲦᲐᲠ ᲘᲡᲛᲘᲡ: ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲬᲐᲕᲐᲚᲝ...

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

ᲐᲮᲛᲔᲢᲘᲡ რაიონის მშრომელების მიერ დამზადებული ნაირ-ნაირი თექების, პაჭიჭების, „ჩითების“, ნაბდების, ფიანდაზების მოხატულობა ხალხურ ტრადიციებს ემყარება. მქსოველთა თუ ხეზე კვეთის ოსტატთა ნაშუქარების ასე მსგავსებაა მზის სინათლეზე გამოსვლას წარსულში მხოლოდ თუ ოცნებებდნენ.

მთაში, თუ ერთი-ორი ქალი ხელით საქსოვ დაზგას უჯდა, დანარჩენები მატყლს ამუშავებდნენ, აშრომდნენ, წეწავდნენ, მათი ნახელავთ ირთვებოდა საცხოვრებელი ოთახის კედლები, თექებსა და ფიანდაზებს საწოლსა და იატაკზე ფენდნენ.

დღესაც გვაოცებს ფერთა შეხამების მაღალი ხელოვნება, როგორც წინათ, მატყლის შესაღებად ბუნებრივ საღებავებს იყენებენ.

პანკისის ხეობას რომ შევუყვებით, თვალს მოგტაცებენ ალაზნის პირას მთის ფერდობებზე შესაკუპებული პატარ-პატარა სოფლები, ხალხური ხელოვნების ბევრი ოსტატი ცხოვრობს საკობიანონი, ყვარელწყალში, კუწახტაში, დუისში, ჯოყოლოში, ბირკიანში, დედისფერულში, ზემო, ქვემო და შუა ხალაწანში, დუმასტურში, ომალოში, წინუბანში, ქორეთში, ბაყალოვანში, ხევისჭალაში, ძაბახევში და სხვა სოფლებში.

სწორედ ამ ლამაზი ხალხური ტრადიციის აღორძინებას ემსახურება „სოლანის“ საწარმო გაერთიანების ის საწარმო უბანი, რომელმაც ამ ცამეტი წლის წინათ დაიღო ბინა სოფელ დუისში.

— ჩვენში, — გვეუბნება ამ უბნის უფროსი მ. მარგოშვილი, — განსაკუთრებით გავრცელებული ფერია წითელი და მისი ნაირგვარი ელფერი — ღია ვარდისფრით დაწყებული და მუქი მეწამულით დამთავრებული. ამ ფერთა მისაღებად ენდროს ფესვებს ვიყენებთ. ყვითელი ფერის საღებავს თუთუბოს, ვაშლის ხის ქერქის, თუთის ფოთლებისა და ხახვის ფოჩებისაგან ვამზადებთ. ყავისფერს კი კაკლის წენგოსაგან ვიღებთ, ლეღვის ფოთლები ყვითლისა და მწვანის ელფერს გვაძლევენ.

შეღებვის წესი ყველა შემთხვევაში ერთნაირია, ძაფს ჯერ შაბის ხსნარში ვთავსებთ, მერე საღებავში ვუშვებთ და ვადუღებთ სასურველი ფერის მიღებამდე, ნაწარმის ხასიათი თვალწარმტაცი ბუნების პირობებით განისაზღვრება. დიდი გზებისაგან მოშორებით გაუვალ ადგილებში მცხოვრები ადამიანები მოწყვეტილი იყვნენ გარე სამყაროს. ამიტომაც, რასაც ქმნიდნენ, თვითონვე ხმარობდნენ, გარეთ კი არაფერი შემოდიოდა. ასეთ პირობებში მათ დიდხანს შემორჩახეს თავიანთი ადათ-წესები, ნახელავი, ხალხური ხელოვნების ტრადიციები.

დიდი სიყვარულია საჭირო, რომ ხელით გამოიჩეკურთმო ხის ნაჭრები, შენი კუთხის თავისებურად უმსუბუქდებათ შრომა.

უბნის უფროსმა სარეალიზაციოდ გამზადებულ საქონელთან მიგვიყვანა. ჩვენ თვალწინ იშლება სასიამოვნო სანახაობა: თეშური ჩითები, კახური ქუდები, ფარდაგები, თექები, ხის ნაირ-ნაირი ნაკეთობანი. ისინი მომმხარებელს მოსწონს გამძლეობითა და ლაზათით.

მატყლის ნაწარმის შეღებვით სახელი გაუთქვამთ მამაკაცებს: ბექესელთ მარგოშვილსა და ძიხად მარგოშვილს.

ხალხური ხელოვნების ნიმუშების დამზადებაში დიდი წვლილი შეაქვთ ხეზე კვეთის გამოჩენილ ოსტატებს ისრაელ ფარეულიძეს, ალეგბე ფარეულიძეს, იჩო ალხანაშვილს, შოთა ფარეულიძეს, აქედან ყველაზე ახალგაზრდაა შოთა ფარეულიძე, რომლის ნამუშევრებმაც კარგა ხანია დიდი მოწონება დაიმსახურა. ოსტატები ხეს ამუშავებენ მდინარის წყლით, ძველისძველი მამაპაპური წესით — საწარმოო უბნის კოლექტივი ახლის ძიებაშია. ხორაჯოს ხეობაში ხის მხატვრული დამუშავების საამქროს ჩარხი დგას. იგი წყლით მომუშავე პრიმიტიული დაზგაა, რომლის მეშვეობითაც მოჩუქურთმებულ თეფშებსა და ხონჩებს, ხილის ლარნაკებს, კოვზებს, სავარძლებს, ტაბაკებს, სასმისების კომპლექტებს ამზადებენ. მახმად მარგოშვილის ჩანფიქრით მეცხვარის „ეილეტი“ შეიქმნა, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა და სწრაფად გასაღდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილებით საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს დაევალა ახმეტის რაიონის პანკისის ხეობის სოფელ დუისში 150 კაცი მაინც დასაქმოს.

მხატვრული რეწვის საწარმოო უბანზე ახლა 100-მდე კაცი შრომობს, მათი რიცხვი 300-მდე გაიზრდება და თითოეულის ხელფასი ყოველთვიურად საშუალოდ 200-250 მანეთს მიიღწევს.

ალცანეის ოჯახში ყველა მისდევს ხალხურ ხელოვნებას. მისი რძალი ეთერი, შვილიშვილები შარიათ, ხადიშათ მარგოშვილები დედასთან და ბებიასთან ერთად თელავენ ფარდაგებს.

Ქ

ოცა ეს რუბრიკა შემოვიღეთ, უკამათოდ ვაქციეთ საკამათოდ და ბევრჯერ ნათქვამსა და განსჯილს მიეუბრუნდით, საქართველო ინდუსტრიული ქვეყანა ვართ თუ აგრარულ-ინდუსტრიული?

საინტერესო რამ გამოირკვა, საქმე ის გახლავთ, რომ აგრარულს ინდუსტრიულმა ისე შეუცვალა ადგილი, აგრარულის განვითარების ტემპი არ შენელებულა.

ამ შეუვალი ტემპის მაჩვენებელი ისიც გახლავთ, რომ ჩვენში თვითონ აგრარული ინდუსტრია განვითარდა, როგორც საერთო ინდუსტრიის ერთი დარგი.

ჩვენში საზოგადოების განვითარების ამ საინტერესო პროცესს უკვალოდ არ ჩაუვლია. ვინც თვალი გაადევნა ჩვენს ამ რუბრიკის წინა წერილებს — კოლეგთმშენზე, ენერგეტიკულ, ზესტაფონის ფერროშენაგნობთა ქარხანაზე, ჭიათურის მაღაროებზე და სხვებზე, თვალში მოხვდებოდა ჩვენში მუშათა და გლეხთა კლასის შერწყმისა და მონაცვლეობის საკითხი.

ჩვენ გლეხს სოფელ მაღლაკში ისე მიაკითხა ავტოქარხანამ, რომ თავის ეზოდან ფეხი არ გამოუდგამს...

ზესტაფონელი მეფოლადე ნახევარი დღე ვენახშია, მოდი და გაავლე ახლა ზღვარი და დაუდე სამანი, სად მთავრდება გლეხი და სად იწყება მუშა... ახლა გლეხის „ორმაგ ბუნებას“ სულ შეეცვალა შინაარსი და ორივე ბუნება სოციალისტური ხასიათისა გახდა...

უზუსტესი გამოთვლითი ჩარხების ქვეყანა ვართ ახლა ჩვენ, ეს რას უშლის მიწის მადლით ისარგებლოს ადამიანმა, თურინჯის, ნარინჯის, ვაზის ქვეყანაც ვართ ჩვენ...

ასე იყო და ასე იქნება...

გლეხის ანგარიშიანობამ და მუშის სიმტკიცემ ერთიორად შეუვალი და მტკიცე გახადა ქართველი კაცის ხასიათი.

ერთი დევივით დაიქშინა ორთქლმავალმა და დაიძინა... გავსცქერით სამხრეთ საქართველოს სოოკრად ლამაზ, რბილ პეიზაჟს და ვსაუბრობთ ჩვენ ქვეყანაზე, შრომაზე, ადამიანზე...

ამ მიწაზე სისხლი მეტია დაღვრილი, ვიდრე წვიმა...

ვინ არ მოგვიხტა და ვინ არ მოგვეკარა, მაგრამ არ გვეწერა გადაშენება და არ გადავშენდით... ახალ ქალაქში მივდივართ, ახალქალაქში კი არა მადნეულში, მართლა ახალქალაქში, სულ 10 წლის წინათ, რომ დაარსდა. საქართველოს ფერადი მრეწველობის ცენტრში, ახალი დიდი საქმის მონაწილენი გვინდა ვნახოთ.

აქედან ამირან მაისურაძე იყო XXVII ყრილობაზე, საკუთარმა მარჯვენამ დიდების კარი შეუხსნა. სამატიო სამოთელია, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საშუალო სკოლა ბოლნისში დაამთავრა, მერე საბჭოთა არმიაში, მსახურობდა, აქ 1974 წელს მოვიდა, მეექსკავატორეს მოადგილე გახდა, 10 წელია ექსკავატორის მემანქანეა. არავის გაჰკვირვებია ყრილობის დელეგატად მისი დასახელება, ყველა იმედითა და ნდობით მოეკიდა, ასე ფიქრობდა პარტიული კომიტეტის მდივანი, ასე ფიქრობდა დირექტორი, თვითონაც, თვითონაც ჰქონდა თავის იმედი, მაგრამ... რომ მაინც ღელავდა. ტყუილია, ნურავინ დაიკვეხნის ყრილობათა დიდ დარბაზში შევალ და არ ვიღელვებო.

მატარებელი თითქოს ვიღაცას ემუქრება, ქშენით მოდის, ისეთი გრძნობაა, პირველად მუშტაიდში საბავშვო რკინიგზაზე რომ მოხვდება ყმაწვილი...

მოგეხსენებათ, მგზავრობამ უცბად იცის დაახლოება.

— ჟურნალისტები ბრძანდებით? — გკითხა კუპეში ერთმა მასწავლებელმა.

— მერე ასე წერა შეიძლება?

— რა დაავშავეთ, ბატონო?

—რა დაავშავეთ და, ამას წინათ გაზეთში იყო დიდი წერილი. სათაური ეწერა, გვარები, სახელები, დაწესებულებები ვრცლად იყო ჩამოთვლილი, და,.. ერთი ციცქნა სიხარული არ ერია ამოდენა წერილში. ლამის გული შემიღონდა, ბავშვებს დავავალე ოგივე თემა, ერთი გენახათ როგორ დაწერეს!.. უხაროდა მასწავლებელს.

მადნეულში, რომ ჩახვალ, მართლაც, შეუძლებელია, რა გინდ წარბშეკრული და ჩაფიქრებული არ მოგიცვას. აშენდა ქვეყანაო!— სწორედ აქაურობაზე თქმული.

— კაზრეთი ერთი პატარა ქართული სოფელია, უფრო სწორად, პატარა სოფელი იყო. მადანი აღმორჩდა, მაშინვე მოგრუხუნდნენ ექსკავატორები, მოვდნენ წეროსავით ამწე კრანები და აცვივდნენ სართულები ზეცაში, თეთრი მაღალი სახლები შორიდან მაკეტს ჰგავს...

— ახლა უამინდობაა, თორემ მოთბება და სამოთხე გეგონება აქაურობა! — ამბობს მასწავლებელი.

მასპინძლები კარგად დაგვხვდნენ.

ამ ვეებერთელა საწარმოს ცხოვრება, ასე ტაშითა და ზურნით არ დაწყებულა, ხანდახან ჩვენ რომ ვწერთ და ზოგჯერ სასურველს სინამდვილედ ვხედავთ, მთლად ისე არ იყო, ერთხანს, 1977-1979 წლებში ისე გაუჭირდათ, ლამის გაუქმებაზე მიდგა საქმე. მაგრამ გამრჯე და გამჭრიახი ხალხის იმედად იყო ყოველთვის ეს წუთისოფელი.

ამ ძნელბედობის დროს მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის დირექტორი იყო აბესალომ ჭანტურია. 1977 წელს კომბინატი ჯერ ისევ არ მუშაობდა. იგი კაზრეთში უკრაინიდან მოვიდა, მოიწვიეს და მოვიდა. სიძნელეების შესახებ, რა თქმა უნდა, იცოდა, გორლოვკაში საათიანით აწყობდა კომბინატს. იქ ხელმძღვანელობის შემდეგ ამ თითქმის თავიდან დასაწყება საქმის თავის დადგმა არ გინდა?

ასე დაიწყო ჩამორჩენილი, უფრო სწორად, გაჩერებული საწარმოს გზა გარდამავალი დროშებისაკენ.

შარშან IV კვარტალის მაჩვენებლებისათვის დაჯილდოვეს სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

საწარმოს ამუშავების ერთი წლის შემდეგ — 1975 წელს აქ ამოქმედდა სპილენძის კოლრეტდანის მადნის კარიერი 1978 წელს მეორე კარიერიც ამოქმედეს (ბარიტ-ჰოლლითონის მადნებისა). 1975 წელს დამთავრდა მამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობა.

მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატი პრაქტიკულად ხელმეორედ ამუშავებას ელოდა. ახლა ეს ისტორიაა...

წარმოება ისეთი რამაა, ნურავინ იტყვის — გავმართე და აწი არა გვიშავსო. წყაზეა ფათერაკი. ერთი თუ ჩათვლიმე, ვინ საით გაგექცევა და სად რა დაგექცევა, არ იცი. იყო დრო, მთლიანად კომბინატში მუშახელის დენადობა 50 პროცენტს შეადგენდა.

ამ ყველამ იცის, რომ ახლანდელი დირექტორი ვ. სულამანიძე, განსაკუთრებულ ყურადღებას ადგილობრივი კადრების აღზრდასა და შენარჩუნებას აქცევს.

არც კეთილმოწყობილი ბინის რიგია მაინცდამაინც დიდი. ხუთი წელიწადში — 30 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი აიგო.

...ღია მაღაროებია, მოიპოვება სპილენძი, ბარიტი, ოქრო, ვერცხლი... მასას ექსკავატორები იღებენ და უზარმაზარი 27-40 ტონიანი მანქანებით ეზიდებიან. ასე რომ, ექსკავატორის მემანქანე, მპურღაფ-აფფექებელი და მძღოლი აქ ძირითადი პროფესიაა. კომკავშირის საგზურებით მოსულებს აქ განსაკუთრებული პატივით ხვდებიან... ბევრი უკვე დაცოლშვილდა, დაოჯახდა და დამკვიდრდა.

ბევრი ცნობილი კაცი გახდა და სახელი მოიხვეჭა. ვაჟა ისიანი, გელა აკოფაშვილი, ილია კაპანაძე, ავთანდილ გოგოლაძე, ვასილ მაკაროვი, ვახტანგ ფაბიროვი... სამ ცვლიანი სამუშაო დღეა... ძმებივით უდგანან მხარში ერთმანეთს, ერომანეთის გატანამ და კაცი საბავშვო ბაღში „მოწყობაზე“ ისე ლაპარაკობდა, თითქმის სამედიცინო ინსტიტუტში აწყობდა შვილს, დამხმარე მეურნეობის — „მწვანე საამქროს“ წარმომადგენელიც იყო მოსული; მოძრავმა სასადილომ კარიერზე ასვლა არ დაიგვიანოსო, წუხდა ვიღაც. ჩემ ტელევიზორს ფერადი გამოსახულება გაუფუჭდაო ამისთვისაც აქ მოსულა მომჩივანი. აფიშების გაკვრის საკუთხრ... [illegible] ... ბოლოდ ღელავდა ვიღაც პორტუგალიანი კაცი... აქ სულ ასეა, ვიღაც მოდის, ვიღაც მიდის, ყველა რაღაცას მოითხოვს, რაღაცას ამტკიცებს, ამკვიდრებს და ასაბუთებს...

ასეა, ამ ათასი წვრილმანისაგან შესდგება დიდი ცხოვრება, რომელშიც რაღაც მთავარია და რაღაც მეორეხარისხოვანი.

1990 წლისათვის დაგეგმილია სამჯერ გაზარდონ მთლიანი პროდუქციის გამოშვება. მთავარი მიმართულებაა უნარჩენო ტექნოლოგიის დანერგვა.

აქ ასამდე ღონისძიება დაინერგა ახალი ტექნიკის დარგში, ამან კომბინატს დიდი ეკონომია მისცა, ორჯერ და მეტად გაიზარდა რაციონალიზატორთა რიცხვი.

...მოსაღამოვდა და ავიჩქარეთ, უეცრად ცამ პირი შეკრა და გათოვდა, თოვს, ბარდნის მარტი ილვეა. იცის ასე მარტმა, ერთს გადაიკარებს და ტყუპალი და ალუჩაც აყვავდება, მაშინ კვლავ გვეწვიეთო, გვეპატიჟებიან მასპინძლები, ამ თეთრ პატარა ქალაქში...

ბ. დვალიძე,
რ. დვალიშვილი,
მარტი, მადნეული.

• • •

სურათზე: მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის კარიერის მუშაკები — კარიერის უფროსი მარკაზიდერი ს. მარკაროვი, ექსკავატორის მემანქანე კ. ტრომპანი, კარიერის უფროსი ე. ბოკორაშვილი და უსაფრთხოების მთავარი ინჟინერი ი. სირაძე.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

მეგობრები იაკუბოვიდან

ორჯონიკიძე. (საქ. კორ.). ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის, დიდი ოქტომბრის ორგანიზატორის, ბოლშევიკური კონსტანტინეს შ. ორჯონიკიძის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ბაკურიანში, ბულმოდგინებით ემზადება სერგოს მშობლიური რაიონი. ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის მზადება დიდი ხანია დაიწყო იაკუტიის ასსრ ორჯონიკიძის რაიონშიც, რომელიც ს. ორჯონიკიძეს მეორე სამშობლოდ მიაჩნდა.

კარგა ხანია ამ ორ რაიონს დიდი მეგობრობა აკავშირებს, მეგობრული ურთიერთობა აქვთ კიცხის კოლმეურნეობისა და ს. ორჯონიკიძის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებს, რომლებიც ურთიერთშეჯიბრებაშიც არიან ჩაბმული.

ამას წინათ კიცხის კოლმეურნეობაში სტუმრად იყო ს. ორჯონიკიძის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელთა დელეგაცია პარტიული კომიტეტის მდივნის ს. კიროვის ხელმძღვანელობით...

სტუმრებმა კიცხელ მეგობრებს გააცნეს თავიანთი გეგმები, წინადადებები, რომლებიც ჩვენი დიდი თანამემამულის, მგზნებარე რევოლუციონერის სერგო ორჯონიკიძის დაბადების 100 წლისთავის აღნიშნასთან არის დაკავშირებული.

კვლავ გაფორმდა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება 1986 წლისათვის. შემდეგ სტუმრები გაეცნენ კიცხელ მშრომელთა ცხოვრებას. იყვნენ სერგოს მშობლიურ სოფელ ღორეშაში, სადაც დაათვალიერეს ს. ორჯონიკიძის სახელმწიფო მუზეუმი, ესაუბრნენ მუზეუმის დირექტორს, სერგოს ქალიშვილს ეთერ ორჯონიკიძეს.

ბ. შარიძაძე,
„კომუნისტის“ საქ. კორ.

კარლო კალაძე

...ემოგს მზე და ...ის მოსახლეობა

...კიდიან-კიდემდე გაშლილი ფერდობი
...ა ასაფრენ ცას გაკრიალებულს,
...ფოლადის ფრთებს თუ არ ენდობი —
...

...ი თვალს შეავლებ იალბუზს!
...ალბუზი, უშბა, მყინვარი
...ათ დაარქვა,
...კი კაცია —
...ამაყი, და არა მძვინვარი
...ობა მთიულთა, დგას კავკასია.
...ერ მიწაზე ყვავილებს რომ ვრგავთ
...ა
...ენ გვაქვს, დახეთ რა უფლება:
...ა ენეურთა სიშმაგეს ვბორკავთ,
...დავსტავთ —
...ი მოგვეღრუბლება!
...ი გუშანი არ ტყუის, არ ცდება,
...ერგვლივ სიმართლის გამგები ხალხია —
...ურღილები მთის ნეკნებს ჩასწვდება
... რომ ნიადაგი
...ურ-ცეცხლის ალხია!
...ი მეგდელი გრდემლს დაკრავს ეროს
...ის მიჯნაზეულ ღმერთ-კაცს იხსენებს,
...შუქი სიცოცხლის
...ერს მიესხუროს
...რომ ამწვანდა — იმ ზეგანს, იმ ხერებს!

...ვინც ვულკანის ძილს ათარიღებს
...თილს გვიქადის,
...ბორტია!
...ი მყინვარი თუმც ხმას არ იღებს —
...ი ჩამქრალი მთისგული როდია!
...იალბუზს, დიდება კლდოვან
...ოს
...ალიბთა ოქროთი ავსებულს,
...ერ ათასი თაობა მოვა
...ერვით შეეწყოს წუთს გაალმასებულს...
...ი ვართ ციდან ცამდე მისული —
...ა, რა წვავ, რა საუკუნეა!

...ჩაქრება მთის გული?
...ნს წიაღში რა გუგუნია!
...ბერვევია მთის ყველა ნამსხვრევი,
...

...ამენებული,
...ებში ნასროლ ბილიკით აპყევი
...თ მუხლი გაქვს შენებური.
...ესმის ტყიბულს ტყვარნელის,
...ორდა შორს შორი,
...ფოლადის მწრთობელ ქვას ელის
...ი თვალ-ფიცხი სამუშაონი...

...კეთილ-მოყვარეკ დღეთა,
...ორის ხარ?
...ბოსნ შენს ცისკარს.
...ოთქოს ნახე, და რასაც ხედავ,
...ენი მთა ვეტყვის — შენც ის ხარ!
...ერ მოსწყვიტო,
...გუგუნი წიაღის
...ოთ ბუნების ხვედრი ინატრე.
...ის ბუდე სიცოცხლის, სიანლის,
...ის მიწადაწყალი, სინათლე...
...ისი გორის ხარ,
...ისი მიწიძვრა
...ბილში გაგიშლის —
გინდა თუ არ გინდა,
...ერა ჰკითხო-რა, სხვამ არა იცის-რა,
...ენი საბრძოლო ადგილთა.
...ზეიმი როგორ არ ჰქვია
...ენებას, ამ დალამებას,
...ოსწონქვაც
...ერ დაკარგვია
...ი თვალის დახამხამებას!
...ები აქ მთიდან მთამდე
...ივით ასცდნენ ქალაქებს,
...ი ჩემო,
...როგორ არ მწამდე
...ენთან მე რა მაამხანაგებს!
...ი ცეცხლის სილაღით ღვივის,
...ემი. დიდი აღმოსავლეთი,
...ერ ჰფარავს მისანდომ ლიმილს
...ინდველი ღრუბლის ნაფლეთი.
...
...დიან, ცხრათვალა მზეები
...ენი დღე. შენი დღეობა,
...მთისა და ცის ამწვები,
...ის მზე და... მზის მოსახლეობა.

---

7. საქართველოს ინდუსტრიის გიგანტები

ამ პატარა თეთრ ქალაქში...

არ გვინდა ბირთვული ომი! მშვიდობა მსოფლიოს!

—ამ მთავარი ლოზუნგებით აღინიშნება საიუბილეო პირველმაისობა დედამიწის ყველა კონტინენტზე

წითელი **დროშების ფრიალით და გაზაფხულის სიმწვანით მორთული მოამბეჭდს პლანეტაზე პირველი მაისი — მშვიდობისა და შრომის დღესასწაული. დემონსტრანტების კოლონების თავზე აღმართული ტრანსპარანტები და ალისფერი ბაირაღები ათობით ენაზე იმეორებენ მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის მთავარ ლოზუნგს: „მშვიდობა მსოფლიოს!“**

პირველი მაისი წლეულს განსაკუთრებული, საიუბილეოა. იგი ზუსტად ასი წლის წინათ იშვა შეერთებულ შტატებში — ჩიკაგოს ქუჩებში.

„მოვითხოვთ რვასაათიან სამუშაო დღეს!“ ამ გამოსვლას ქვეყნის სხვა ქალაქებშიც აუბეს მხარი. გაჩერდა ქარხნები და უბრიკები. 340 ათასი კაცი მოეფინა ქუჩებს. ჩიკაგოში გაფიცულებთან სოლიდარობის ნიშნად 4 მაისს პეიმარკეტის მოედანზე მასობრივი მიტინგი გაიმართა. მიტინგზე გამოსულმა პროფკავშირელმა ლიდერებმა მუშებს მოუწოდეს, არ შეპუებოდნენ კაპიტალის შემოტევას, გაერთიანებულიყვნენ პროფკავშირებში, დაეცვათ თავიანთი უფლებები. მიტინგი დასასრულს უახლოვდებოდა. მისი მონაწილეები ის-ის იყო დაშლას აპირებდნენ, რომ უეცრად მოედანზე პოლიციის დიდი რაზმი გამოჩნდა. პოლიციელები კოლონებად დაწყვნენ და მუშებს შეუტიეს — ხელკეტები დაუშინეს ყველას, ვინც გზად შეხვდათ. მოულოდნელად ხიბნელეში ალმა იფეთქა, გაისმა აფეთქება. ვიღაც პროვოკატორმა ყუმბარები ისროლა. ატყდა პანიკა. პოლიციელებმა ცეცხლი დაუშინეს ლტოლვილებს.

კაპიტალისტები და მათი დამქაშები სასტიკად გაუსწორდნენ ჩიკაგოს მუშათა მოძრაობის აქტივისტებს: ოთხ მათგანს — ალბერტ პარსონს, ჯორჯ ენგელს, ოგეხტ სპაისსა და ადოლფ ფიშერს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, ასობით კაცი ციხეებში ჩაყარეს.

ასე დაიბადა 1886 წელს 1 მაისის მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღედ აღნიშნული ტრადიცია, რომელიც შემდგომში მთელს მსოფლიოში გავრცელდა.

მას შემდეგ, რაც ჩიკაგოს ქუჩებში მუშების სისხლი დაიღვარა, დედამიწაზე ბევრი რამ გადასხვაფერდა. ძირფესვიანად შეიცვალა ბევრი სახელმწიფოს სოციალური, კლასობრივი ბუნება, ხალხთა უმრავლესობის ცხოვრების პირობები და წესი. მე-20 საუკუნე ორი ყველაზე დამანგრეველი მსოფლიო ომის მოწმე გახდა. ამ მიჯნიდან კაცობრიობის საზოგადოების განვითარება მკვეთრად შემობრუნდა სოციალიზმისაკენ, რომელმაც სამუდამოდ მოსპო ექსპლოატაცია და ჩაგვრა, უმცირესობის ძალაუფლება უმრავლესობაზე.

ამ მოვლენების შედეგად ერთ პოლუსზე შეიქმნა და სწრაფად ვითარდება პროგრესის გზით განთავისუფლებული შრომის მომავლისაკენ მსწრაფი სამყარო, მეორე პოლუსზე კი გადარჩა და ჯერაც ბოგინობს, წარსულს ებღაუჭება ექსპლოატაციის, ძალმომრეობის სამყარო. სოციალიზმმა ცხადყო თავისი უძლეველი ძალა სასტიკ ჭიდილში იმპერიალიზმთან, ისტორიის ჩარხს უკუღმა დატრიალებას რომ ლამობდა. სოციალისტური რევოლუციების დარტყმებმა, მსოფლიო რომ შეაზანზარეს, თვალდათვალ დაავიწროვეს კაპიტალიზმის ბატონობის სფერო. კაპიტალისტურ სამყაროში უზარმაზარ ძალად იქცა მუშათა და კომუნისტური მოძრაობა. დაემხო კოლონიური იმპერიები და ისტორიული პროცესის აქტიური მონაწილე გახდა ათობით მანამდე დათრგუნული და ჩაგრული ერი. ბევრი მათგანი სოციალისტური განვითარების გზას ადგება.

და თუმცა კაპიტალიზმმა შეძლო არსებობის გახანგრძლივება, მსოფლიოს კაპიტალისტურ ზონაში მწვავდება კაპიტალისა და შრომის, მონოპოლიებისა და ხალხის უდიდესი უმრავლესობის, იმპერიალიზმისა და განვითარებადი ქვეყნების ანტაგონიზმი. სწორედ ამიტომ არის, რომ მშრომელთა საერთაშორისო საპირველმაისო დღესასწაულის იდეა, საერთაშორისო კაპიტალზე გამარჯვების ნიშნად რომ დაიბადა, უკვე მთელი საუკუნეა ცოცხლობს. ძველი სამყაროს ბატონ-პატრონები, აშკარა რეპრესიებს რომ თავი დავანებოთ, უამრავ ხრიკს მიმართავდნენ და მიმართავენ ერთიანობისაკენ მშრომელთა ნების ჩასახშობად. პირველი მაისის წინაღმდეგ მორიგი დივერსია წამოიწყო ვაშინგტონმაც. რეიგანის ადმინისტრაციამ სასახლო ტრადიციის გაყალბება გადაწყვიტა: თეთრმა სახლმა განკარგულება გასცა, რომ 1 მაისი ამერიკის შეერთებულ შტატებში „ლოიალის დღედ“ აღინიშნოს.

მაგრამ ამაოდ მოუწოდებს მშრომელებს მორჩილებას მილიონერთა და მილიარდერთა მთავრობა, რომელსაც რეიგანი მეთაურობს. ისევე როგორც ასი წლის წინათ ამერიკის პროლეტარიატს ბრძოლით სჯერდება თავისი საარსებო უფლებების დაცვა, და ისევე როგორც ასი წლის წინათ კაპიტალისტები მას ბოლიციის ხელკეტებით უმასპინძლდებიან. აი სულ რამდენიმე საპირველმაისო ცნობა კლასობრივი ბრძოლების ფრონტებიდან: „ამბობენ ამ დათხოვნების საფრთხე რომ შეიცავს. ბელგიაში, შრომის უფლების დასაცავად დემონსტრაცია მოაწყო 20 ათასმა მეშახტემ. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შვიდ მილიონზე მეტმა მუშამ და მოსამსახურემ გაილაშქრა პროფკავშირების მიერ მოწყობილ გამოკითხვის დროს შრომის კანონის იმ შესწორების წინააღმდეგ, გაფიცვების უფლებას რომ კვეცავს. დიდ ბრიტანეთში შოტლანდიის ტრედ-იუნიონების მორიგმა ყრილობამ დაგმო კონსერვატორთა მთავრობის „კატასტროფული ეკონომიკური კურსი“.

კლასობრივი ბრძოლის გაძლიერება კაპიტალის ქვეყნებში, იმპერიალისტთა შორის უთანხმოების გამძაფრება მოწმობს, რომ კაპიტალიზმს სასიკვდილო სენი შეჰყრია. მაგრამ იგი სულაც არ აპირებს ისტორიული ასპარეზის საკუთარი ნებით დატოვებას და დღემდე ცდილობს სხვადასხვა ბერკეტებით მანიპულირებას ანტიხალხური მიზნების მისაღწევად. იმპერიალისტური მონოპოლიები განაგრძობენ კოლონიური ბატონობისაგან განთავისუფლებული ქვეყნების უმრავლესობის ექსპლოატაციას. საკმარისია ითქვას, მესვეურის როლს იჩემებს, იმედოვნებს, რომ გამალებული შეიარაღების მეშვეობით მოშლის ძალთა შემქმნელ თანაფარდობას. სწორედ ეს განაპირობებს ვაშინგტონის ადმინისტრაციის გამოდმებულ ლაპარაკს იმაზე, რომ უნდა მოხდეს სოციალიზმის სამყაროს „დესტაბილიზაცია“ და რომ უნდა „დამარცხდეს“ იგი, აგრეთვე იმას, რომ ვაშინგტონს არ სურს მორიგების მიღწევა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე. ეს კი ნიშნავს, რომ ვაშინგტონი ბირთვულ პარიტეტს უარყოფს, რათა კვლავ დაიწყოს უპირატესობის უზრუნველყოფის შესაძლებლობათა არარეალური ძიება.

ისტორიის მსვლელობის შესაცვლელად, მსოფლიო სოციალიზმის შესავწროებლად, ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის შესაფერხებლად გამიზნულ ამ ავანტიურისტულ იმპერიალისტურ კურსს უპირისპირდება საბჭოთა კავშირის მტკიცე გეზი, რომ სხვადასხვა წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობას არა აქვს და ვერც ექნება სხვა გონივრული საფუძველი მშვიდობიანი თანაარსებობის გარდა. ამგვარად, სასწრაფოა ერთ-ერთი მონანილის პლაკატზე. საკდესის ფოტო.

მსოფლიოს ხალხებო! აქტიური წინააღმდეგობა გაუწიეთ იმპერიალიზმის მიერ შექმნილი ბირთვული ომის საშიშროებას! იბრძოლეთ ბირთვული გამოცდების სრული აკრძალვისათვის! არ დაუშვათ კოსმოსის მილიტარიზაცია!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

სამშვიდობო მარში:

„წერილი მოსკოვიდან: 2000 წელს უბირთვულიარაღო მსოფლიოსათვის. უნდა გამოვიყენოთ ეს შანსი!“

მშვიდობისა და განიარაღებისათვის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეთა ტრადიციული საგაზაფხულო გამოსვლების ფარგლებში მრავალათასიანი სამშვიდობო მარში გაიმართა ინდუსტრიული რურის ქალაქებში.

სურათზე: დემონსტრანტთა კოლონა. „წერილი მოსკოვიდან: 2000 წელს უბირთვულიარაღო მსოფლიოსათვის. უნდა გამოვიყენოთ ეს შანსი!“ — წარწერილია ერთ-ერთი მონანილის პლაკატზე.

საკდესის ფოტო.

უცხოეთში

შუაკაბები მოვლენები

30 აპრილი ● საკდესი იუწყება

უარყვეს უხეში სიყალბე

ნიუ-იორკი. სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კატეგორიულად უარყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენლობის უხეში პროპაგანდისტული სიყალბე, რომელმაც აშკარა სიცრუეს მიმართა — შეეცადა საბჭოთა კავშირისათვის დაბრალებინა ავღანელი ქალებისა და ბავშვებისადმი „ბარბაროსული დამოკიდებულება“.

შეერთებულ შტატებს ეს მონაჩმახი იმისათვის დასჭირდა, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშოროს „ბინძურ ომს“, რომელსაც ვაშინგტონი მრავალი წელია ეწევა ავღანელი ხალხის წინააღმდეგ ბანდიტებისა და დაქირავებულების მეშვეობით, ნათქვამია საბჭოთა წარმომადგენლობის მიერ პრესისათვის აქ გავრცელებულ განცხადებაში. კონტრრევოლუციამ, რომლის ინიციატორი და ორგანიზატორი შეერთებული შტატებია, ავღანეთი სისხლმდენ იარად აქცია. ამავე დროს შეერთებული შტატების სენატში დაუფარავად მსჯელობენ იმაზე, რამდენად „ეფექტიანია“ დაქირავებული მკვლელებისათვის გაწეული ეს „დახმარება“, რა დამატებითი იარაღი მიაწოდონ მათ.

● ნორვეგია

მთავრობა გადადგა

ოსლო. **ნორვეგიის ბურუჟუაზიული კოალიციური მთავრობა, რომელმაც მარცხი განიცადა მის მიერ შეთავაზებული მოხმარების შეზღუდვის ღონისძიებებისათვის სტორტინგში (პარლამენტში) კენჭისყრის დროს, იძულებული გახდა გადამდგარიყო.**

● ნიკარაგუა-ჰონდურასი

შეიარაღებული პროვოკაცია

მანაგუა. **ჰონდურასის რეაქციულმა მხედრობამ ახალი შეიარაღებული პროვოკაცია ჩაიდინა ნიკარაგუის წინააღმდეგ.** რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, 27 აპრილს ჰონდურასელმა ჯარისკაცებმა ჩინანდეგის დეპარტამენტში ცეცხლი დაუშინეს სანდინისტური ჯარის სახალხო არმიის სასაზღვრო საგუშაგოს. ნიკარაგუის მთავრობამ ჰონდურასის ხელისუფალთ მოსთხოვა სახიფათო ინციდენტები დამნაშავეთა დასჯა. ამგვარი მტრული აქციები, ნათქვამია საპროტესტო ნოტაში, ხელს უშლის დაძაბულობის შენელებას რეგიონში.

● ლიბია

ტერორისტებისათვის მხარდაჭერა შენდა აღიკვეთოს

ტრიპოლი. ჯანას სააგენტოს ცნობით, ლიბიის საგარეო კავშირურთიერთობის სახალხო ბიუროს მიიწვია ჯამაჰირიაში ნიდერლანდის საქმეთა დროებითი რწმუნებული, როგორც ევროპის ეკონომიკური გაერთიანების თავმჯდომარე ქვეყნის წარმომადგენელი. მას განუცხადეს, რომ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრი სახელმწიფოები თავშესაფარს აძლევენ ლიბიისა და სხვა პროგრესული არაბული სახელმწიფოებისადმი მტრულ ტერორისტულ ორგანიზაციებს, უწყვენ მათ სხვადასხვაგვარ, მათ შორის ფინანსურ დახმარებასა და მხარდაჭერას. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ასეთი პოზიცია, რითაც უნდა იმართლებდნენ ისინი თავს, ფაქტობრივად მიზნად ისახავს ტერორიზმის ორგანიზაციასა და ექსპორტს.

ქაპიტალის სამყაროში

$ პირველმაისობა—ბრძოლა შრომის უფლებისათვის



საფრანგეთი

● **პარიზი.** **საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიურომ მოუწოდა ფრანგ მშრომელებს ახლანდელი პირველმაისობა გადააქციონ თავიანთი ინტერესების დასაცავად, მეწარმეთა შეტევის წინააღმდეგ ბრძოლის დღედ.**

მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური კურსი ზრდის უმუშევრობას, აუარესებს უბრალო ადამიანთა მდგომარეობას, ახალ პრივილეგიებს ანიჭებს მსხვილ კაპიტალს, ნათქვამია საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადებაში, რომელიც გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა. მეწარმეები შეეცდებიან ფართოდ გამოიყენონ ყველა შესაძლებლობანი, რომლებსაც ისინი იღებენ, რათა ახალი დარტყმა მიაყენონ მშრომელთა ინტერესებს, შეუმცირონ მათ რეალური შემოსავალი, განახორციელონ უკონტროლო დათხოვნები, ფართო სპეკულაცია, შეისყიდონ ნაციონალიზებული საწარმოები, ნათქვამია დოკუმენტში.

ამ პირობებში 1 მაისს, პროლეტარული დღესასწაულის ასი წლისთავის დღეს, პარიზისა და საფრანგეთის სხვა ქალაქებში გაიმართება მშრომელთა მასობრივი მანიფესტაციები.

გფრ

● **ბონი.** **დასავლეთ გერმანიის „მწვანეთა“ პარტიის ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა საპირველმაისო მოწოდებანი, რომლებშიც მწვავედ არის გაკრიტიკებული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკური კურსი.**

დასავლეთ გერმანიის მშრომელთა გამოსვლები პირველმაისობის დღეს, ნათქვამია მოწოდებებში, გაიმართება უმუშევრობის ზრდის წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნით, სოციალური უფლებების, მათ შორის გაფიცვის უფლების დასაცავად. აუცილებელია აგრეთვე, რომ პირველი მაისი ომისათვის მზადების იმ პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტების დღედ იქცეს, რომელსაც ვაშინგტონი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებენ, ნათქვამია „მწვანეთა“ პარტიის მოწოდებებში.

მამათა ოცნების გზებით...

ჩვენი შეხვედრა მოულოდნელი იყო... ოსტანკინოს ძველ უბანში, ორსართულიან ხის პატარა სახლში, სადაც ახლა კოსმოსის მესაიდუმლის, გენერალური კონსტრუქტორის ს. კოროლიოვის სახლ-მუზეუმია, ხალხის ტალღას დასასრული არ უჩანდა. ყველას აინტერესებდა ენახა ახალი ექსპოზიცია, რომელიც კოსმოსის პირველმკვლევის იური გაგარინის გაფრენის 25 წლისთავს მიეძღვნა. ერთ-ერთ სტენდზე ჩვენი თანამემამულის, მფრინავისა და კონსტრუქტორის ვლადიმერ გარაყანიძის ფოტოა. ს. კოროლიოვს ვ. გარაყანიძე თავის საყვარელ მასწავლებლად მიაჩნდა, ყოველთვის სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდა მას. აი, რას წერს მის შესახებ თავის წიგნში „კოროლიოვი“ ცნობილი ჟურნალისტი და მწერალი ი. გოლოვანოვი: „მას უსაზღვროდ უყვარდა ავიაცია, იგი ცის ლაჟვარდის ნამდვილი რომანტიკოსი გახლდათ, რომლისთვისაც სიტყვა „ადამიანის გაფრენა“ წყაროს ჩხრიალის ტოლფასივანი იყო. გარაყანიძემ შეძლო აენთო თავისი მოწაფე გაფრენის უსაზღვრო სურვილით, რომლის დაოკება კოროლიოვმა ვეღარ შეძლო მთელი ცხოვრების მანძილზე“...

სწორედ აქ, ძველი, უკვე ფერგადასული გაზეთების დასტასთან მიიპყრო ჩემი ყურადღება ახალგაზრდამ, რომელიც ვ. გარაყანიძის სურათს ათვალიერებდა. გამოვესაუბრეთ ერთმანეთს, გავიცანი... ამირან ბასილაშვილი მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის წარჩინებული ასპირანტია, მან დიდი მოწიწებითა და სიყვარულით ილაპარაკა ვ. გარაყანიძეზე. გავიხსენეთ, რომ ჩვენს სახელოვან თანამემამულეს რამდენიმე მსოფლიო რეკორდი (ეუთვნის სალანგარო ავიაციაში, მისი კონსტრუქციით აშენდა პირველი საბჭოთა დირიჟაბლი „ბ-1“. მასზე ჯერ კიდევ 1927 წელს წერდნენ გაზეთები „პრავდა“, „იზვესტია“, ლენინგრადსკაია „კრასნაია გაზეტა“. სახელმოხვეჭილი ქართველი სპეციალისტი 1925 წელს პლანერით ასწავლიდა ფრენას ახალგაზრდა მფრინავებს, მათ შორის კოროლიოვსაც, წლების განმავლობაში მუშაობდა მოსკოვში როგორც წამყვანი დირიჟაბლმშენებელი. 1933 წელს გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა ვრცელი მასალა ქართველი ავიატორის ფოტოთი ასეთი სათაურით: „სტრატოსტატი მზად არის გასაფრენად“. ამ სტატიაში მწერალმა ლევ კასილმა აღმაფროთოვანებელი სტრიქონები უძღვნა ვ. გარაყანიძეს, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა გაფრენას. სიცოცხლის ბოლო წლები ჟუკოვკაში, მფრინავთა ქალაქში, გაატარა და იქვე გარდაიცვალა. სიკვდილის წინ ერთი სურვილი გაუმხელია ახლობლებისთვის, საფლავზე ქართული წარწერა გამიკეთეთო... მესიამოვნა, ასეთი სითბოთი და სიყვარულით რომ ლაპარაკობდა ამირანი ქართველ ავიატორებზე, მაგრამ ნაღვაწარსა და ნამაგარზე. ისიც მახარებდა, რომ მისი სახით ჩვენი სახელოვანი მოღვაწეების ღირსეულ მემკვიდრეს ვხედავდი.

ა. ბასილაშვილი ახმეტის რაიონში დაიბადა. ბავშვობიდანვე იტაცებდა საავიაციო და კოსმოსური ტექნიკა. საკუთარი ხელით აშენებდა და თვითონვე ცდიდა რაკეტების მოქმედ მოდელებს. დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე გამოსული ყმაწვილი თავისი ბავშვობისდროინდელი გატაცების ერთგული დარჩა — სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე განაგრძო თვითმფრინავთმშენებლობის სპეციალობით. სადიპლომო ნაშრომმა, რომელიც მორეული მაგისტრალური სამგზავრო თვითმფრინავების დაპროექტებას ეხებოდა, უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. დაუვიწყარ მოგონებად დარჩა ის წლები, ის დიდი ზრუნვა და ყურადღება, მის მიმართ პროფესორმა ა. ბეთანელმა რომ გამოიჩინა. კათედრის უშუალო მხარდაჭერით და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს შუამდგომლობით 1983 წელს ამირანი მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩაირიცხა. ბასილაშვილის სადისერტაციო თემაა „აერობუსის ტიპის თვითმფრინავის კონსტრუქციული ელემენტების კონსტრუქტორულ-ტექნოლოგიური გადაწყვეტათა შეფასება ადრეული დაპროექტების სტადიაზე“. თემა ძალზე აქტუალურია. მას მუშაობა უნდება და მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები აკავშირებს სამამულო საავიაციო ტექნიკის დარგში აღიარებულ მეცნიერებთან და სპეციალისტებთან: ა. ბადიაგინთან, ი. ბელიაკოვთან, ვ. შეინინთან, სოციალისტური შრომის გმირთან, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატთან ს. ეგერთან და სხვებთან. მათგან მიღებული კონსულტაციები დიდ დახმარებას უწევს სამეცნიერო-კვლევითს საქმიანობაში...

დღეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე დონე საშუალებას იძლევა შესრულდეს ერთი და იგივე კონსტრუქციული ელემენტის რამდენიმე ვარიანტი, რომლებიც განსხვავდებიან როგორც კონსტრუქციული, ისე ტექნოლოგიური პარამეტრებით. თვითმფრინავის დაპროექტების ადრეულ ეტაპზე კონსტრუქტორის წინაშე დგას ასეთი პრობლემა: მიიღოს ყველაზე რაციონალური, ანუ ისეთი კომპრომისული გადაწყვეტა, რომელიც ერთნაირად დააკმაყოფილებს როგორც თვითმფრინავის ფუნქციური დანიშნულებით, ისე მისი წარმოებისა და ექსპლოატაციის პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს... ა. ბასილაშვილის მიერ დამუშავებული მეთოდიკა, რომელიც თვითმფრინავის რთული ტექნიკური სისტემის იერარქიული სტრუქტურის სხვადასხვა ელემენტს შორის ფუნქციური კავშირის ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების მათემატიკურ მოდელირებას ემყარება, ავიაკონსტრუქტორს საშუალებას მისცემს ელექტრონული გამომთვლელი მანქანის მეოხებით თვითმფრინავის ადრეული დაპროექტების სტადიაზევე მიიღოს რთული კონსტრუქტორულ-ტექნოლოგიური ხასიათის გადაწყვეტები... ჩვენი ახალგაზრდა თანამემამულე უკვე 10 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. რეგულარულად მონაწილეობს სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციებსა და სემინარებში...

ა. ბასილაშვილის ნაამბობი: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მუშაობის დღეებში დიდი სიხარული მხვდა წილად — ჩემს მეგობრებთან ერთად მონაწილეობა მივიღე საქართველოს მიერ მოსკოვს წარმოგზავნილ ასპირანტთა და სტუდენტთა შეხვედრაში ჩვენი რესპუბლიკის დელეგატებთან. განსაკუთრებით გამახარა წარჩინებული სტუდენტების მ. კობერიძის, ბ. ტანტიბას, ვ. ჩერნეის და სხვათა გამოსვლამ. ჩემს გამოსვლაში ყურადღება გავამახვილე ასპირანტურაში ჩარიცხვის წინ სტაჟირების გავლის აუცილებლობაზე. ჩემი აზრით, ეს ხელს შეუწყობს სამეცნიერო ნაშრომის დროულად და, რაც მთავარია, ხარისხიანად შესრულებას. უდავოდ, კარგ შედეგს მოგვცემდა, თუ ასპირანტები გარკვეული დროის შემდეგ ოფიციალური ანგარიშით წარდგებოდნენ იმ ორგანიზაციებში, რომელთა შუამდგომლობითაც არიან ჩარიცხულნი...

განსაკუთრებით შთამბეჭდავი და გულშიჩამწვდომი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ჯუმბერ პატიაშვილის გამოსვლა. მან კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი კონტაქტები, უშუალო შეხვედრები დიდ როლს ასრულებს სტუდენტი ახალგაზრდობისა და მომავალი მეცნიერი მუშაკების პროფესიულ დაოსტატებაში. სასურველი და მისასალმებელი იქნებოდა, რომ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე ორგანიზაცია-დაწესებულებების ხელმძღვანელები რეგულარულად ხვდებოდნენ იმ სტუდენტებსა და ასპირანტებს, რომლებსაც შემდგომ მათი დაქვემდებარების ორგანიზაციებში მოუხდებათ მუშაობა.

ეს დღე დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის... რა კარგი იქნებოდა, რომ ასეთი უშუალო, მეგობრული შეხვედრები კეთილ ტრადიციად გადაიქცეს და უფრო ხშირად იმართებოდეს საქართველოს სსრ მუდმივ წარმომადგენლობაში...

მეორე დღეს ჩვენ ისევ შევხვდით ერთმანეთს. სიტყვა კვლავ თაობათა მემკვიდრეობითობაზე ჩამოვარდა და მაშინ კიდევ ერთხელ ცოცხალივით დაგვიდგა თვალწინ გამოჩენილი ქართველი მფრინავისა და კონსტრუქტორის, კოროლიოვის პირველი მასწავლებლის ვლადიმერ გარაყანიძის სახე...

ჩვენ ვინახულეთ მისი საფლავი ბიკოვოს სასაფლაოზე. ქვას შავ არშიად მოსდევს ლამაზი ქართული ასოებით ამოკვეთილი „ვ. გარაყანიძე“.

...საქართველოს მთებში და იალაღებზე წლების განმავლობაში დაობიჯებდა ქართული მზით დამწვარი ვაჟკაცი და ღამღამობით ვარსკვლავების ციმციმით ტკბებოდა... სულ მალე მისი ვაჟიშვილი ვარსკვლავებისკენ გააფრენს თავისი კონსტრუქციის თვითმფრინავებს...

დ. მაჩავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
ძ. მოსკოვი.

ქალაქის მწვანე სამოსი

ასი ათას კვადრატულ მეტრზე მეტით გაიზარდა ამ გაზაფხულზე რესპუბლიკის დედაქალაქის მწვანე სამოსი. გამწვანების ორთვიურის მანძილზე, რომელიც 1 მაისის დღესასწაულისათვის დასრულდა, მის საზეიმო მორთულობაში გაჩნდა ცაცხვის, ჭადრის, იფნის, წიწვოვანი ხეების ათიათასობით ნერგი. იასამნისფერმა ია ეუჟუნამ, მოვარდისფრო ზიზილებმა დაამშვენეს ქალაქის მთავარი მაგისტრალის—რუსთაველის პროსპექტის ფერთა პალიტრა თბილისურ სიცხეში ჟასმინის სურნელსა და აკაციის მხსნელ სიგრილეს გვაჩუქებენ ახალი სკვერები.

კიდევ ათი მწვანე ოაზისი გაჩნდება ტრადიციული ყვავილების დღესასწაულისათვის. ეს სკვერები გაშენდა კლდანისა და ვაკის რაიონებში, წერეთლის პროსპექტსა და ნუცუბიძის პლატოზე, თბილისის ახალ და ძველ ქუჩებში. ამ დღეს ყველგან გაამართება დათვალიერება-კონკურსები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ მოყვარული და პროფესიონალი მებაღეები. კომპეტენტური ჟიური შეაფასებს მათი გულმოდგინე შრომის ნაყოფს: დეკორატიულ კუთხეებსა და ოსტატურად შედგენილ ყვავილების თაიგულებს, კომპოზიციურ გადაწყვეტასა და თვით არქიტექტურულ დაგეგმარებასაც.

(საქინფორმი).



ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

ᲒᲐᲕᲚᲝᲜᲘᲔᲠᲓᲔᲗ, ᲒᲐᲕᲯᲐᲜᲐᲚᲓᲔᲗ, ᲒᲐᲕᲛᲐᲒᲠᲓᲔᲗ!

პირველი გამოქახილი

მას შემდეგ, რაც საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის ერთობლივი დადგენილებით შეიქმნა **ფიზიკური კულტურისა და სპორტის მოყვარულთა რესპუბლიკური კლუბი „ჯანმრთელობა“**, ხუთიოდე დღე გავიდა. და აი, პირველი გამოძახილი: სპორტსაზოგადოება „განთიადის“ რესპუბლიკურმა საბჭომ გვაცნობა, რომ უკვე შექმნილია ამ სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური კლუბი, რომლის განმგებლობაში მყოფ ფიზკულტურული კოლექტივების სპორტნაგებობათა ბაზებზე ყალიბდება კლუბები ინტერესების მიხედვით. შედგენილია ამ მიმართულებით მუშაობის 1986 წლის პერსპექტიული გეგმა.

სპორტსაზოგადოების ხელმძღვანელებმა ისიც გვამცნეს, რომ უკვე მაისში ჩამოყალიბდება და მუშაობას შეუდგება ფეხბურთის, რბენისა და გამაჯანსაღებელი რბენის კლუბები თბილისის მაუდკამვოლის კომბინატის ბაზაზე („ივერია“), ათლეტური ტანვარჯიშისა, ძალოსნობის და ჭიდაობისა — თბილისის საქსოფი ფაბრიკის ბაზაზე („ფეიქარი“), გამაჯანსაღებელი ცურვისა და სროლისა სპორტკლუბის „გამარჯვების“ ბაზაზე და სხვა. 1986 წლის მაის-ივლისში სულ 29 კლუბი შეიქმნება და სათანადო მუშაობაც გაიშლება. გარდა თბილისისა, ფიზიკურ კულტურასა და სპორტში ჩაბმებიან რუსთაველი, ქუთაისელი, ჭიათურელი, ზუგდიდელი, გორელი, ტყიბულელი და ენგურჰესის მშრომელები.

ამრიგად, სპორტსაზოგადოება „განთიადის“ რესპუბლიკურმა საბჭომ ინტერესების მიხედვით კლუბების შექმნასთან დაკავშირებით პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა და ვიმედოვნებთ, რომ სამაისოდ მიღებული ამ სასიამოვნო ცნობის შემდეგ ასე კეთილად დაწყებულ საქმეს თავი მოეგებება და კლუბებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობასაც ფართო გასაქანი მიეცემა.

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მერვე ტურში ასეთი შედეგები აღინიშნა: „კოტაიკი“-„შინნიკი“ — 0:0, „ლოკომოტივი“-ნაბაროვსკის ასკ — 2:1, „ფაკელი“-„კუზბასი“ — 0:0, „ყუბანი“-„მეტალურგი“ — 2:1, როსტოვის ასკ-„კოლოსი“ — 2:1, „ატლანტასი“-„როსტსელმაში“ — 2:0, „დაუგავა“-სტავროპოლის „დინამო“ — 2:1, „ფახთაქორი“-„როტორი“ — 2:1, „პამირი“-ცსკა — 0:0, ასკ „კარპატი“-ორჯონიკიძის „სპარტაკი“ — 2:0, „ნისტრუ“-„გურია“ — 1:2, ბათუმის „დინამო“-„ისკრა“ — 3:1. მერვე ტურის შემდეგ 13 ქულით ლიდერობს „ლოკომოტივი“. ცსკას და „დაუგავას“ 12-12 ქულა აქვთ, „გურიას“ — 11, „როსტსელმაშს“ და ბათუმის „დინამოს“ — 10-10 და ა. შ.

ᲰᲝᲙᲔᲘᲜᲘ. ფიდეს სამდივნომ გამოაცხადა, რომ გ. კასპაროვ-ა. კარპოვის მატჩ-რევანშის მთავარი არბიტრი იქნება ლოტარ შმიდტი (გფრ). პირველი 12 პარტია გათამაშდება ლონდონში (დაიწყება 28 ივლისს) და არბიტრის თანაშემწეები იქნებიან ლემბიტ ვაჰესაარი (სსრ კავშირი) და ერიკო კაიკა-ჯოზოოვი (ბულგარეთი). მატჩის მეორე ნაწილში (ლენინგრადში) მთავარ მსაჯს დაეხმარებიან მიროსლავ ფილიპი (ჩეხოსლოვაკია) და რიჩარდ ვეიდი (ინგლისი).

დორტმუნდში (გფრ) მიმდინარე ვაჟთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრების რვა ტურის შემდეგ 5,5-5,5 ქულით ლიდერობენ მ. კინტეროსი (არგენტინა) და ზ. რიბლი (უნგრეთი). მათ მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება პია კრამლინგი (შვეიცია), რომელიც ვაჟთა ტურნირებში ხშირად მონაწილეობს, მოსკოველ ვ. სმისლოვს 4 ქულა აქვს.

ᲗᲝᲚᲯᲗᲕᲘ

1 ᲛᲐᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00— „ერემია“. 9.40 — დოკუმენტური ტელეფილმი. 10.00 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები და ცეკვები. 10.50 — მოსკოვი. წითელი მოედანი. მშრომელთა საერთაშორისო დღის — 1 მაისისადმი მიძღვნილი გადაცემა. დამთავრების შემდეგ — პიონერთა საზეიმო კონცერტი. 13.00 — „მშვიდობა, შრომა, მაისი“. პოეტური კომპოზიცია. 13.40 — დოკუმენტური ტელეფილმი „ერემი მოსკოვი“. 14.20 — ფილმი — „ბავშვებს. 15.35 — დოკუმენტური ფილმი მშვიდობისათვის ბრძოლაში ტაკტურის მოღვაწეთა მონაწილეობის შესახებ. 16.35 — მსოფლიოს ხალხთა შემოქმედება. 17.35 — მულტფილმი. 18.00 — ბ. ი. ჩაიკოვსკი. კონცერტი ვიოლინისა და ორკესტრისათვის. 18.40 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 19.15 — ფილმ-კონცერტი „რა არის ცირკი?“. 20.00 — მულტფილმები. 20.40 — ახალი ამბები. 20.50 — მხატვრული ფილმი „ძალიან დიდი პერსონა“. 22.00 — „ერემია“. რეპორტაჟი მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის — 1 მაისის ზეიმის შესახებ. 23.00 — საპირველმაისო საზეიმო კონცერტი. დამთავრების შემდეგ — ახალი ამბები.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲠᲮᲘᲚᲘ

1 ᲛᲐᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00— „ერემია“. 9.35 — ჩვენს დიდ სამშობლოში. 9.55 — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის 1 მაისისადმი მიძღვნილი გადაცემა (თბილისიდან და მოსკოვიდან). დასასრულ — პიონერული საზეიმო კონცერტი (მ.). 13.00 — „იმ პირველ მაისებს“. 13.25 — მოსწავლეთა-თვის. კონცერტი „სამაისო“. 14.10 — ლიტერატურული გადაცემა — „მებრძოლ დროშასთან ელავს კალამი“. 15.20 — საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. 16.15 — „მულტპანორამა“. 17.10 — საპირველმაისო კონცერტი. მონაწილეობენ რესპუბლიკის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები. 17.55 — მეგობრების წრეში. 19.20 — საგაზაფხულო კინოფესტივალი „სიცილისა და სიმღერის ეკრანი“. მოკლემეტრაჟიანი ქართული მხატვრული ფილმები „ქვევრი“ და „ეპეკელა“. 20.00 — მოამბე. 21.20 — პოლიტიკური სიმღერის კონცერტი. 22.00 — „ერემია“. 23.00 — საპირველმაისო საზეიმო კონცერტი (მ.).

მაისო, მზე ხარ მუვიდოვის,
მხოლოდ და მხოლოდ მუვიდოვის!

ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘ

დიდების ტაძარი

ბასული საუკუნის შუა წლებიდან მის დამთავრებამდე თბილისი არა მარტო მრავალი რუსი მწერლის, კომპოზიტორისა და მუსიკოსის, არამედ სახვითი ხელოვნების ოსტატთა ყურადღებასაც იპყრობდა. სამწუხაროდ, საქართველოში მათი მოღვაწეობის შესახებ ჯერჯერობით ცოტა რამ არის ცნობილი. სამოციანი წლების დამდეგს თბილისში ერთ-ერთი პირველი ჩამოვიდა ცნობილი რუსი მხატვარი — მარინისტი, პროფესორი, შესანიშნავი ტილოს „კავკასიის ხედის“ ავტორი ლევ ფელიქსის ძე ლაგორინო. მან საქართველოს დედაქალაქში მოიწვია იმ ხანად ახალგაზრდა მხატვარი ვასილ ვასილის ძე ვერეშჩაგინი. ვერეშჩაგინი თბილისში ერთდროულად სამ სასწავლებელში მუშაობდა ხატვის მასწავლებელად, ერთი წლის მანძილზე ნახატებით ავსო სამი ალბომი. მაშინვე, როგორც თვითონ წერს, მიიღო თბილისის სოფლის მეურნეობის საზოგადოების შეკვეთა შინაური ცხოველების დახატვაზე და 2400 მანეთიც იშოვა.

ერთი წლის შემდეგ ვ. ვერეშჩაგინი კვლავ ჩამოდის საქართველოში, ესტეტარი ფოთს, სამ კვირას ცხოვრობდა სურამში, მონაწილეობდა სახალხო დღესასწაულებში, შექმნა ათობით ეთნიკული სურათი. აქ, საქართველოში, მან წარმოთქვა სიტყვები, რომლებიც კარგად ახასიათებს კავკასიელი ხალხებისადმი მოწიწავე რუსი ინტელიგენციის დამოკიდებულებას. მან თქვა: „არც ერთი რუსი მშრომელი ადამიანი არ თვლის თავის თავს არც გამარჯვებულად, არც ამიერკავკასიის დამპყრობად. ჩვენ ვალდებული ვართ სრული პატივისცემით მოგეპყრათ თქვენ, თქვენს წეს-ჩვეულებებს, დაგიცვათ მტრებისაგან. ძალადობითა და ჩაგვრით ხალხთა შორის მეგობრობას ვერ მივაღწევთ, სპარსელებმა და თურქებმა, თუ გადავხედავთ ამიერკავკასიის წარსულს, საშინელი სისასტიკე გამოიჩინეს, გაანადგურეს თქვენი მამა-პაპანი, რათა თავს მოეხვიათ თავიანთი რწმენა, თავიანთი ძალაუფლება. მაგრამ ბორკილი არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება ხალხთა დამაკავშირებელი რგოლი“.

მას შემდეგ თბილისში ჩამოდის მეორე დიდი რუსი მხატვარი ფრანც ალექსის ძე რუბო. წლეულს სრულდება მისი დაბადების 130 წლისთავი. ვფიქრობ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება მისი ცხოვრების თბილისური პერიოდის ფურცლები.

ფ. რუბოს შემოქმედებითი გზა, რომელმაც თავისი ნაწარმოებების მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთის ისტორიის მოვლენებს მიუძღვნა და რუსული საპანორამო ხელოვნების ფუძემდებელი გახდა, ასახავს XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დამდეგის აკადემიური ბატალური ჟანრის, საყოფაცხოვრებო სურათისა და პეიზაჟის ევოლუციას. იგი დაიბადა 1856 წელს ოდესაში, სადაც მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში გადასახლდა მამამისი, ღარიბი ფრანგი კომერსანტი.

„დავიბადე რუსეთში და ოცდაორ წელზე მეტ ხანს ვცხოვრობდი მოსკოვში, სადაც განათლებაც მივიღე... მუდამ ვხატავ რუსეთის ყოფისა და საბრძოლო ცხოვრების ამსახველ სურათებს. ყველა ამ ნიშნის მიხედვით მე რუს მხატვრად უნდა ჩავთვალო“, — წერდა ფ. რუბო, რომელმაც რუსეთის ქვეშევრდომობა ვერ მიიღო და თითქმის ყველასგან დავიწყებული 1928 წლის 13 მარტს გარდაიცვალა მიუნხენში.

რუბო ფართო მასებისათვის ცნობილია, როგორც გრანდიოზული პანორამების „სევასტოპოლის დაცვისა“ და „ბოროდინოს ბრძოლის“ ავტორი.

რუბოს შემოქმედების მწვერვალი გახდა „ბოროდინოს ბრძოლის“ პანორამა. როგორც სამხედრო კონსულტანტმა, მხატვარს დიდი სარგებლობა მოუტანა ნაპოლეონთან ომის სახელგანთქმული მგრის ს. ი. ბაგრატიონის ძმისშვილმა დ. პ. ბაგრატიონმა. ბოროდინოს ბრძოლის ასი წლისთავზე გახსნილი ამ პანორამის დათვალიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე იგი შეწყდა და უშველებელ ტილოს ინახავდნენ მოსკოვში სხვადასხვა ადგილას. მხოლოდ ბოროდინოს ბრძოლის 150 წლისთავის დღეებში კუტუზოვის პროსპექტზე დამთავრდა რუბოს პანორამის სადემონსტრაციო შენობის აგება და 1962 წლის 18 ოქტომბერს იგი კვლავ იხილა დაინტერესებულმა დამთვალიერებელმა.

მაგრამ, სამწუხაროდ, დღეისათვის ცოტამ თუ იცის, რომ ფრანც რუბოს, როგორც ბატალური მხატვრის, მსოფლიოში ცნობილი პანორამების შემქმნელის ძირითადი შემოქმედებითი გზა დაიწყო თბილისში.

ახალგაზრდა რუბოს უსწავლია მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში, სადაც ცოტა მოგვიანებთან სწავლობდა გიგო გაბაშვილი, ქართული რეალისტური ფერწერის ფუძემდებელი და უდიდესი წარმომადგენელი, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი. რუბო გაიტაცა კავკასიის ისტორიამ. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს და სწავლის შემდეგ რუბო ხშირად ჩამოდიოდა კავკასიაში, სადაც ეცნობოდა კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიულ თავისებურებას, ყოფა-ცხოვრებასა და ბუნებრივ გარემოს. იგი ძირითადად თბილისში ცხოვრობდა. აქ შეუდგა მუშაობას სურაზე „აულ ახულგოს იერიში“, რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა პანორამას „კავკასია“.

შემდგომში ეს სურათი გამოფენილი იყო მიუნხენსა და პარიზში და ფ. რუბოს ფართო პოპულარობა შესძინა. ამ ნამუშევრისთვის მიუნხენის სამხატვრო აკადემიამ რუბო თავის პროფესორად აირჩია.

თბილისში დაწყებულმა და მიუნხენში დამთავრებულმა „კავკასიის თემებზე“ შესრულებული სურათების დიდმა სერიამ, შეიძლება ითქვას, მასზე უდიდესი გავლენა მოახდინა „სევასტოპოლის დაცვისა“ და „ბოროდინოს ბრძოლის“ პანორამების შექმნის დროს. ამ სერიას მიეკუთვნება ზეთით შესრულებული მნიშვნელოვანი ნამუშევრები — „მთებში დუქანთან“, „მთის გზა შლეიში“, „მთის მდინარესთან“, „კავკასიელი ცხენოსანი“, „მხედარი“, „დარიალის ხეობა“, „აულ გიმრის იერიში“, „გენერალ კოტლიარევსკის მიერ ლენქორანის იერიშით აღება“, „მთიელი“, „მთიელების გადასვლა მდინარეზე“, „არღუთინსკი-დოლგორუკის რაზმის გადასვლა კავკასიონის დათოვლილ მთებზე“, „კავკასიური დაზვერვა“, „შეტაკება კავკასიაში“, „ბაზარი ვლადიკავკაზში“, „ცხენოსანი ქურთი“ და სხვები.

რუბოს, როგორც სახელგანთქმულ ბატალისტ მხატვარს, მთავრობამ ოფიციალური შეკვეთა მისცა, რათა მას შეესრულებინა დიდი ნაწარმოებების სერია თბილისში სამხედრო-ისტორიული მუზეუმის „დიდების ტაძრის“ შექმნისათვის. ამ ციკლზე მუშაობამ მოითხოვა ისტორიული მოვლენების, ეთნოგრაფიული წყაროების, სხვადასხვაგვარი ნატურის უფრო ღრმა შესწავლა. და იგი კვლავ კავკასიაში, თბილისშია, სადაც არჩევს საჭირო ტიპებს, აკეთებს პეიზაჟებს, კოსტიუმების, იარაღის ჩანახატებს.

სულ ახლახან დაღესტნის მუზეუმში წარსული წლების საარქივო დოკუმენტების გადარჩევისას აღმოაჩინეს ფ. რუბოს მიერ საკუთარი ხელით მიუნხენში 1888 წლის 2 აგვისტოს ოთხ ფურცელზე დაწერილი და თბილისში მცხოვრები მისი მეგობრისა და რწმუნებულის მ. გოკიელისადმი გაგზავნილი წერილი. კერძოდ, წერილში ნათქვამია: „...15 სექტემბერს ჩამოვიანა „კურიოუკ დარას“, „ახულგოს“ და „თბილისში შემოსვლას“. „თბილისში შემოსვლას“ ჩამოვიტან დაუმთავრებელს, ესკიზის სახით, მაგრამ ისე, რომ შეიძლება მისი გამოფენა, თუ მომცემენ მასალას და ცოხობს, მაშინ დავამთავრებ“.

წერილის მეოთხე გვერდზე მხატვარი წუწუნებს, რომ ფინანსურ გაჭირვებას განიცდის და თითქოს ამას ადასტურებს კალმით შესრულებული ადამიანის სურათი, რომელიც თავში ხელებს იჭიმს...

თბილისში მოუთმენლად ელოდნენ რუბოს ჩამოსვლას. სწორედ 1888 წელს თბილისის ცენტრში, გოლოვინის პროსპექტზე (ამჟამად რუსთაველის პროსპექტი) ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თბილისელი არქიტექტორის ალბერტ თევდორეს ძე ზალცმანის პროექტით ააგეს შენობა სამხედრო-ისტორიული მუზეუმის „დიდების ტაძრისათვის“, რომელიც იმავე წლის დამლევს გაიხსნა (ამჟამად ამ შენობაში მოთავსებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გალერეა). მუზეუმის ექსპოზიციაში უნდა ასახულიყო კავკასიაში თურქეთისა და ირანის ექსპანსიასთან დაკავშირებული ომების ისტორია.

მუზეუმის კედლებზე მიმაგრებულ ლითონის თორმეტ დიდ დაფაზე ამოკვეთილი იყო ამ ომებში ყველაზე უფრო სახელმოხვეჭილი ქართული სამხედრო ნაწილების სახელები: საქართველოს 1842 წლის ცხენოსანი ლაშქარი, ქართველ გრენადერთა პოლკი, რომელმაც სახელი გაითქვა 1854 წლის 24 ივლისის კურიუკ-დარის ბრძოლაში, მეგრელ გრენადერთა პოლკი, ქუთაისის ქვეითი პოლკი და სხვა.

მუზეუმის წინ გამოფენილი იყო მტრისთვის წართმეული 11 ნაალფარი ზარბაზანი. მუზეუმის შესასვლელთან დამთვალიერებლებს ხვდებოდა ყველაზე უფრო სახელმოხვეჭილი სამხედრო შენაერთების დროშები, ქართველი მხედართმთავრების გრიგოლ ორბელიანის, ივანე ანდრონიკაშვილის, ლევან გურიელის, გიორგი თუმანიშვილის, ლევან მელიქიშვილის, მიხეილ ამირეჯიბის, ივანე ამილახვრის, გიორგი ერისთავის და სხვათა პორტრეტები. ორგანიზატორებმა განსაკუთრებულ ვიტრინაში გამოფინეს 1853 წლის ორი დიდი ბრძოლის — ბაშ-კადიკლარისა და კურიუკ-დარის ბრძოლების გმირის ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძის — „კავკასიის“ ომების „რაინდის“ იარაღი და ორდენები.

ბატალური ფერწერა წარმოდგენილი იყო სხვადასხვა წლის თბილისში მცხოვრები მხატვრების ი. აივაზოვსკის, ნ. სამოკიშის, ფ. ბაიკოვის, ა. შამშინინის, პ. კოლჩინის, ლ. ლონგოს და სხვათა ტილოებით. დიდი მხიზველობა ენიჭებოდა ნ. სამოკიშის ტილოს „1800 წლის 7 ნოემბრის ივრის ბრძოლა“, როცა რუსეთის ჯარებმა ქართველ მოლაშქრეებთან ერთად სოფელ კაკაბეთთან ნიახურას ველზე მოიგერიეს ომარ-ხანის თავდასხმა, რომელიც ცდილობდა გაეჩანაგებინა კახეთი და ხელში ჩაეგდო თბილისი, „1877 წლის 3 ოქტომბრის ავლიარის ბრძოლა“, რომელშიც გადამწყვეტი როლი შეასრულეს ქართველ გრენადერთა პოლკმა და ქართულმა არტილერიამ, და სხვ.

მაგრამ განსაკუთრებული ადგილი გამოფენაზე დაიკავა რუბოს 23 სურათმა, რომლებიც გაერთიანებული იყო საკმაოდ მწყობრ სერიაში. იგი თანამიმდევრულად მოგვითხრობს თურქების, ირანელების, მონღოლების, ჩრდილოეთ კავკასიის მომთაბარე ტომების წინააღმდეგ კავკასიელი ტომების ბრძოლის მთავარი მოვლენების შესახებ. სწორედ ამ სურათებმა გაუთქვეს სახელი თბილისის „დიდების ტაძარს“. სერია იწყება სურათით „პეტრე I-ის შესვლა ტარკში 1722 წლის აგვისტოში“ და მთავრდება მდინარე კუშკაზე 1885 წლის 6 მარტის ბრძოლით. ამ სერიაში უნდა შესულიყო პანორამაც „აულ ახულგოს იერიში“, მაგრამ მისი ბედი საკმაოდ ტრაგიკულად წარიმართა. იგი გამოფენილი იყო ნიჟნი ნოვგოროდის სამხატვრო გამოფენაზე, საიდანაც ჩამოიტანეს „დიდების ტაძარში“.

ვ. ვერეშჩაგინის, ფ. რუბოსა და სხვა მხატვართა სახელები ძვირფასია ქართველი ხალხისათვის.

რ. დავიდოვი,
საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.

კულტურის ქრონიკა

„პოემა საქართველოზე“

„მინდა გადავიღო არა ხედური ფილმი, არამედ ლირიკული პოემა საქართველოზე“, — თქვა თბილისში თავისი ჩამოსვლის დროს ცნობილმა გერმანელმა რეჟისორმა იურგენ ბეთხერმა.

კინოოპერატორ თომას პლენერტთან ერთად იგი არჩევდა ნატურას საქართველოზე საათნახევრიანი ფილმის გადაღებისათვის, რომელიც ასახ